დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: ეკა თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრ(ებ)ი:
თამთა კამკამიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
თამარი ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა მოსიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229728480

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი მთისძირი
ფაქტობრივი მისამართი	ვანი, სოფელი მთისძირი
საფოსტო ინდექსი	**1900**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge/schools/1632

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	vanMtisdziri@mes.gov.ge natelaapo@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595 22-13-55

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება №241869 MES 8 26 0000348695(27.02.2026)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 23-24 აპრილი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე

				შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**დაწყებითი**	**ქართული ენა**	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი მთისძირი ერთი შენობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო**	**ქართული ენა**	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი მთისძირი ერთი შენობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საშუალო**	**ქართული ენა**	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი მთისძირი ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 27 თებერვლის ბრძანება №241869 (27.02.2026) MES 8 26 0000348695 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2026 წლის 23 და 24აპრილს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთის ძირის საჯარო სკოლაში. ვიზიტის ეფექტიანი წარმართვის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განსაზღვრა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და

საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაეცნენ სკოლის ინფრასტრუქტურას, გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან

საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	**აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა**

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის მთისძირის საჯარო სკოლის ინიციატივით გაფორმებულია მემორანდუმი კორნელი კეკლიძის სახელობის სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლასა და ტიციან ტაბიძის სახელობის შუამთის საჯარო სკოლას შორის,რომელიც ითვალისწინებს სკოლებს შორის გამოცდილების გაზიარებას თანამშრომლობის გზით.მემორანდუმში ჩართული სამივე სკოლა ერთობლივად იკვლევს მუნიციპალიტეტში არსებულ როგორც ინფრასტრუქტურულ ასევე

სოციალურ პრობლემებს,სამივე სკოლის სასკოლო საზოგადოება აქტიურ მონაწილეობას იღებს საკითხის გაანალიზების პროცესში,ერთობლივად გეგმავენ პრობლემის გადაჭრის გზებს,მემორანდუმის განხორციელების ფარგლებში ეფექტურად თანამშრომლობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

მხარეებს შორის შეთანხმებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ეწყობა სამუშაო შეხვედრები პედაგოგებს შორის.ერთერთი შეხვედრა შეეხებოდა სკოლებში ინკლუზიური განათლების ეფექტურად დანერგვის ხელშეწყობის მექანიზმების გაზიარებას,სადაც აქტიურ მონაწილეობას იღბდნენ როგორც პედაგოგები,ინკლუზიური განათლების კორდინატორები და მშობლები.შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს არსებული გამოწვევები,იმსჯელეს გადაჭრის გზებზე,შეიმუშავეს პრაქტიკული რეკომენდაციები.მემორანდუმის განხორცილების ფარგლებში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები,მათი ინტერესების და შესაძლებლობის გათვალისწინებით იგეგმება სპორტულ-შემოქმედებითი ხასიათის ერთობლივი აქტივობები,რომელიც ტარდება იმ სკოლაში,რომლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა იმ კონკრეტული აქტივობის ხარისხიანად განხორციელების საფუძველს.

განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:
“თავისუფლება ლომთა ხვედრია“-მთის ძირის საჯარო სკოლა
კონფერენცია-„1924 წლის აჯანყება, ქაქუცა ჩოლოყაშვილი“-ტობანიერის საჯარო სკოლა
„ხმათა ხავერდების ღმერთების ენა“, შექსპირის კვირეული -შუამთის საჯარო სკოლა.
მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს როგორც სკოლების განვითარებას, მოსწავლეების ჯანსაღ ინტეგრაციას, ასევე მუნიციპალიტეტის სამივე თემის დახლოებას და განვითარებას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1	☒ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

		აღწერა

მოსწავლეთა რაოდენობა: 80	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	**ხარვეზი**

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 3.4.1.(1.)	**1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან**	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2027წლის აპრილი უზრუნველყოს: ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება. ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან. გ) ვიდეოსათვალთვალო სისტემის მოწყობა

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026წლის სექტემბერი უზრუნველყოს: პირველადი დახმარების უწყვეტობის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად ექიმის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადება და კვალიფიციური კადრის დასაქმება
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2027წლის სექტემბერი უზრუნველყოს: *სკოლაში რესურსოთახის მოწყობა*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი,საბაზო,საშუალო)	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2027წლის მაისი უზრუნველყოს: *სკოლის ეზოში მდებარე სპორტული მოედანის მოწესრიგება და/ან სკოლის შიდა სივრცეში სპოტული აქტივობებისთვის სივრცის/დარბაზის მოწყობა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** საბაზო,საშუალო)	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2027წლის მაისი უზრუნველყოს: *სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა* სკოლის ეზოში მდებარე სპორტული მოედანის მოწესრიგება და/ან სკოლის შიდა სივრცეში სპოტული აქტივობებისთვის სივრცის/დარბაზის მოწყობა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
N *3.4.1.1*	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	**რჩევა:**აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად.

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
4.2.1.6	**მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**	1. სასურველია სკოლის დირექციამ ადგილობრივ მუნიციპალიტეტის ჩართულობით, უზრუნველყოს მოსწავლეთა სასკოლო პერიოდში თუნდაც ფასიანი კვების მომსახურეობა. 2. ვინაიდან სკოლას აქვს სათანადო კომპიუტერული ლაბორატორია, სასურველია სკოლამ , თუნდაც online ფორმატით(თუ პირისპირ სწავლებისთვის სათანადო კანდიდატი არ გამოჩნდება), შეთავაზოს მოსწავლეებს რომელიმე ევროპულ თუ აზიურ ენას მეორე უცხოური ენის ფარგლებში.

V. მე-2 სტანდარტის. რჩევები (საბაზო საფეხური)

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის
რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	**რჩევა**
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**

	წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა გამოვლინდა რიგი ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც საჭიროებს გასწორებას: • საბაზო საფეხურზე VII კლასის ფიზიკის საგანში თემის ველში ზედმეტად არის მითითებული „საუბარი ფიზიკის შესახებ“ — რეკომენდებულია ამოღება. VIII-X კლასებში კი თემები საჭიროებს დაზუსტებას. VII კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში გასათვალისწინებელია ყველა თემის სრულად ასახვა. VIII, IX და X კლასების ქიმიის საგნობრივ კურიკულუმებში დასაზუსტებელია სამიზნე ცნებები. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია კათედრაზე შემუშავებული და შეთანხმებულ იქნას საერთო კურიკულუმის ჩარჩო, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურულ თანმიმდევრულობასა და უკეთეს კოორდინაციას. თემების, საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი წარმოადგინონ ინტეგრირებულად სხვადასხვა საგანთან მიმართებით. სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითიც შედარებისთვის. კომპლექსური დავალებების პირობების გადამუშავება ისე, რომ სწორად იყოს ფორმულირებული და სრულად შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, (ხელოვნების კურიკულუმში VII და IX კლასებში). **უცხოური ენა:** სასურველია კათედრაზე მოხდეს კურიკულუმების ერთიანი ფორმატის შემუშავება ყველა საგანში, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის განვითარებას. კათედრის წევრებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ ყველა კურიკულუმშიო ასახონ სავალდებულო სამიზნე ცნებები (ზოგან გამოტოვებული იყო).

		კათედრის წევრებს მიეცათ რჩევა, რომ თანამშრომლობითი სწავლება, ინტეგრირებული გაკვეთილები, ტექნოლოგიების ინტეგრირება უცხო ენების სწავლების პროცესს მოსწავლეზე მეტად ორიენტირებულს გახდის.
ინდიკატორი N 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** საბაზო საფეხურზე, **ისტორიაში** წარმოდგენილ შემაჯამებელი დავალებაში **სასურველია** იყოს ისეთი სავარჯიშოები, სადაც იქნება ფაქტებისა და მოვლენების შედარება, შეფასება, გაანალიზებაა. ასევე სასურველია დავალებას დართული ქონდეს შეფასების კრიტერიუმები და საგნის სამიზნე ცნებები და ინდიკატორები, რაც გაგიადვილებთ საგნის მიზნებთან მიმართებით უფრო ზუსტი ანალიზის გაკეთებას და მოსწავლის შეფასებას. **სახელმწიფო ენა** მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.
2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**სახელმწიფო ენა** სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას. კურიკულუმში საკითხი / დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია, კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. ამისათვის, იხელმძღვანელონ სახელმწიფო

		ენის საგნობრივი გზამკვლევის მეთოდური რეკომენდაციებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც სკოლისათვის მისაღებია პროექტში ასახული რჩევები, რომელთაც გაითვალისწინებს სასწავლო პროცესში მომდევნო სასწავლო წლიდან, ხოლო მიღებული რეკომენდაციების შესრულებას სკოლა გეგმავს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ -ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლას, შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმასა და 2025-2032 სტრატეგიულ განვითარების გეგმაში. მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს სკოლის მისია და ხედვა შემუშავებულია საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნების შესაბამისად. მისია ორიენტირებულია დამოუკიდებელი, ჰარმონიული პიროვნების აღზრდაზე, რომელსაც განუვითრდება ყველა ის უნარი, რაც აუცილებელია ახალგაზრდობისათვის საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების შესაძლებლობის განსაზღვრისათვის, ასევე შეძლებს დემოკრატიული ფასეულობების გაზიარებასა და თანამედროვე გამოწვევებისთვის მზადყოფნას, რაც შეესაბამება ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ მოქალაქეობრივი, სოციალური და პიროვნული კომპეტენციების განვითარებას. სკოლის მისიაა:ფიზიკურად და ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდა რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს.მოსწავლის ყველა იმ უნარ-ჩვევებითა და აკადემიური ცოდნით უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია ახალგაზრდობისათვის საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრისთვის, სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისა და კარიერის შექმნისთვის. სკოლის ხედვა ასახავს ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებს. მიზანია იყოს კონკურენტუნარიანი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა, თვითშეფასების კითხვარის წარმოდგენისას ადასტურებს რომ, სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ

სოციო-კულტურულ სივრცეს. მისია ორიენტირებულია დამოუკიდებელი და დემოკრატიული ფასეულობების მქონე პიროვნების აღზრდაზე, რაც გულისხმობს ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობასა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას.
სკოლის ხედვა ხაზს უსვამს უწყვეტ განვითარებასა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების - ჩართულობას და ხელს უწყობს უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას.სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.დირექტორის ბრძანებით შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი,რომელთაც თავდაპირველად შეისწავლეს სასკოლო საზოგადოების, თემის აზრი, SWOT ანალიზის საფუძველზე დაადგინეს სკოლის საჭიროებები,შესაძლებლობები,რაც ასახეს სკოლის მისიასა და ხედვაში,სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით შემუშავებულია სტრატეგიული გეგმა, რომელიც პასუხობს სკოლის მისიას,ხედვას და ღირებულებებს, აღნიშნული საკითხი ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთის ძირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანით დამტკიცებულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულ მხარეებს და შემუშავებული დოკუმენტების გაზიარების მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითდირექტორის ბრძანებიტ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, ჯგუფის წევრები მეტი საჯაროობისა და გამჭირვალობის მიზნით, ყველა ძირითადი სამუშაოს დასრულების შემდგომ, აწყობდნენ საინფორმაციო შეხვედრებს და ყველა დაინტერესებულ პირს, პირთა ჯგუფებს აწვდიდნენ დეტალურ ინფორმაციას, იზიარებდნენ მათ მოსაზრებებს და რასაც ასახავდნენ დოკუმენტში. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექტორის მიერ სასკოლო საზოგადობიასთან მორიგ შეხვდრაზე გაზიარებულ იქნნა სკოლის მისია,ხედვა და ღირებულეებები, ასევე გაზიარება მოხდა მშობელთა კრებებზე,რაც დასტურდება შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის დროს ინტერვიუების შედეგად. სკოლას დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულ მხარეებს და შემუშავებული დოკუმენტების გაზიარების მექანიზმებს

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით, ასევე განთავსებულია სკოლის საჯარო სივრცეში თვალსაჩინო ადგილას

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მიხედვით. სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთის ძირის საჯარო სკოლა" და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
.....

- ბრძანება N-2/33 სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ; (01.09.2025 წ)
- ოქმი N-1 მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტის შემუშავება/განხილვის შესახებ; (01.09.2025 წ)
- ოქმი N-6 მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების შესახებ; (04.09.2025 წ)
- ფოტო სკოლის შენობაში (მისია ხედვა , ღირებულება);
- ბრძანება N-95/ ნ სკოლის სახელწოდების განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის მისია, ხედვა , ღირებულებები.
- სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 20 ოქტომბერს და გაზიარებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. სამოქმედო გეგმების შემუშავების წესი/მეთოდოლოგია ბრძანება N-2/ 34 სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (01.09.2025 წ) დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მიხედვით, სკოლა გეგმავს ყოველწლიურად SWOT ანალიზის გამოყენებით განსაზღვროს სუსტი და ძლიერი მხარეები, მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით დაადგინოს საჭიროებები და დაგეგმოს შემდგომი აქტივობები. საჭიროებების დადგენაში მონაწილეობას მიიღებენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები: სიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით.სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის და მისი განხორციელების პროცესში ახდენს ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას. მიღებული წინადადებები და საჭიროებები აისახება სტრატეგიულ განვითარებისა და სამოქმედო გეგმაში

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილია **სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთის ძირის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, 2025-2032 სასწ/წელი**“, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4-ით, 20.10.2025. დოკუმენტი შვიდწლიანია, რაც პირდაპირ აკმაყოფილებს ინდიკატორის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას.

სტრატეგიული გეგმის შესავალ ნაწილში მითითებულია, რომ მისი მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში.

ამავე დოკუმენტში ასახულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რის საფუძველზეც შემდგომ ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები. ეს მიუთითებს, რომ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და მასში გაწერილი მიზნები თავსებადია მისიასთანა და ხედვასთან. წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტი ციკლურ დაგეგმვაზეც მიანიშნებს, რადგან მისი შესავალი და მეთოდოლოგიური საფუძველი უკავშირდება საჭიროებების შეფასებას, დაგეგმვასა და შემდგომი განვითარების პროცესს.

ამგვარად, სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და შეიცავს მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ -ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და კონკრეტულია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრადეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. სკოლა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს წინაშე განიხილავს გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხს, ასევე გამოყოფს, ახალ პრიორიტეტებს და ამის გათვალისწინებით ხდება ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა . სტრატეგიული განვითარების გეგმის შესავალშიც მითითებულია, რომ სამუშაო ჯგუფმა საჭიროებების შეფასებისა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე განსაზღვრა სკოლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამასთან, თვითშეფასების ფორმაში სკოლა აღწერს, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი დაგეგმვა ეფუძნება შიდა შეფასების პროცესს, რაც ასევე დადსტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე ადგილზე ვიზიტისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულია სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და კონკრეტული აქტივობების მიხედვით. აქტივობების გასწვრივ მითითებულია განხორციელების პერიოდი, მოსალოდნელი შედეგები, რესურსი და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. მაგალითად, პერსონალის განვითარების, სასწავლო პროცესის მხარდაჭერის, არაფორმალური განათლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სხვა მიმართულებებით აქტივობები გაწერილია დროის ჭრილში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. ეს მიუთითებს, რომ გეგმა ოპერაციულად არის ჩამოყალიბებული და მისი შესრულება დაკავშირებულია კონკრეტულ ამოცანებთან. ამასთან, გეგმაში გამოყენებულია ისეთი შედეგობრივი ფორმულირებები, როგორიცაა „კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა", „მხარდაჭერის ამუშავებული მექანიზმი", „ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მონაწილეობის ამსახველი მასალების განთავსება" და სხვა, რაც შესრულების გაზომვის შესაძლებლობას იძლევა. რესურსების ნაწილში მითითებულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური წყაროები, რაც გეგმას რეალისტურობის ნიშნებს ანიჭებს.

ამდენად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე მიბმულ აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესაბამის რესურსებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N-2/33 სტრადეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ; (01.09.2025 წ)
- სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფის ოქმი 5 (06.10.2025წ)
- სტრატეგიული, ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის მშობლებთან გაცნობასთან დაკავშირებით საინფ. შეხვედრის ოქმი (09.10.2025 წ)
- ბრძაბება N-2/34 სტრადეგიული დაგეგმვის შემუშავების მეთოდოლოგია;(01.09.2025 წ)
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- სამეურვეო საბჭოს ოქმი N 4 სტრატეგიული განვითარების ოქმის დამტკიცება (20.10.2025 წ)
- მშობელთა კრების ოქმი 1 (17.09. 2025 წ)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სკოლის მიერ წარმოდგენილი **სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია** მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ მონიტორინგი ხორციელდება ეტაპობრივად, პასუხისმგებელი პირების ანგარიშგების საფუძველზე, ხოლო შეფასება ეფუძნება შესრულების ინდიკატორების ანალიზს. ასევე გაწერილია სამეურვეო საბჭოს როლი მონიტორინგის პროცესში, რაც მიუთითებს ზედამხედველობის მექანიზმის არსებობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და იგი გაწერილია მეთოდოლოგიურ დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიასა და სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, მათ შორის ანგარიშგება, სამუშაო შეხვედრები და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება სრულად წარმოდგენილი განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკული მტკიცებულებები, მაგალითად პედსაბჭოს შუალედური და წლიური ანგარიშები, შეფასების შედეგების დოკუმენტირებული ანალიზი, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ამსახველი მასალები, კათედრის სხდომის ოქმები

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ცნობილია სასკოლო სზოგადოებისათვის, კათედრის სხდომებზე განხილული და შეჯამებულია სასწავლო წლის მუშაობა, ასევე პედსაბჭოს სხდომაზე დირექტორს წარმოდგენილი აქვს ანგარიში, სადაც დეტალურადაა განხილული შესრულებული საკითხები, ასევე თუ რა გამოწვევების წინაშე დგას სასკოლო საზოგადოება. სკოლა აქტიურად გეგმავს სკოლის ვებ-გვერდის გამოყენებას, შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გამოქვეყნდება საჯაროდ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი **სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია** განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანალიზი წარმოადგენს შემდგომი დაგეგმვის საფუძველს. დოკუმენტში აღწერილია შეფასება–დაგეგმვის ციკლური კავშირი, რაც უზრუნველყოფს სკოლის განვითარების უწყვეტობას. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია, რომ შესრულების შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის ბოლოს, რის შემდეგაც ხდება შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება მომდევნო პერიოდის დაგეგმვის პროცესში. ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლას აქვს განსაზღვრული შესაბამისი მექანიზმი და სტრუქტურა (მათ შორის ვებ-გვერდზე შესაბამისი ველი), სადაც უნდა აისახოს შესრულების ანალიზი და ანგარიშები. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და მიმდინარე ციკლი ჯერ დასრულებული არ არის, შეფასების შედეგების გამოყენების პრაქტიკული მაგალითების არარსებობა განპირობებულია დროითი ფაქტორით და არ მიუთითებს მექანიზმის არქონაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში განსაზღვრულია შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმი და დაგეგმვის ციკლური მიდგომა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება N-2/ 34 სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (01.09.2025 წ)

პედ. საბჭოს ოქმი N-6 სტრატეგიული განვითარების გეგმის გაზიარება (04.09.2025 წ)

სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფის ოქმი 5 (06.10.2025წ)

სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის მშობლებთან გაცნობისთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრის ოქმი (09.10.2025 წ.)

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობს დირექტორი და მის დაქვემდებარებაში არსებული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი საგნობრივი კათედრა. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების კომპეტენციის და საქმიანობის წესი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მათი ფუნქცია-მოვალეობები

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლაში სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლთა თანამდებობრივი ვალდებულებები გადანაწილებულია და გაწერილია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენებში: სკოლის შინაგანაწესში, დებულებებში და შრომით ხელშეკრულებებში. თითოეული მათგანი, კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს საკუთარ მოვალებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. საშტატო დამტკიცებულ პოზიციებზე მომუშავე ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად არ არის გაწერილი პოზიციის შესაბამისი ფუნქცია- მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- ბრძანება N 2/52 სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები (01. 10. 2025 წ)
- ბრძანება N 2/53 თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა (01.10.2025 წ)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 2 (05.09.2023წ)
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სპეც მასწავლებლის ხელშეკრულება 5/12 (15.11.2024წ)
- საშტატო ნუსხა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მოთხოვნების გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე, ვაკანსიების გამოქვეყნებით შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე (teachers.gov.ge), ხოლო საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება და კონკურსის პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ რეგულაციებთან.

სკოლის **შინაგანაწესი**, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, არეგულირებს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, მათ შორის სამუშაო დროის რეჟიმს, შვებულებებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმებს, ასევე განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებს. აღნიშნული დებულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან.

ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რაც იძლევა შესაძლებლობას ერთმნიშვნელოვნად დადასტურდეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია და მოქმედებს კონკრეტულად შეფასების პროცესში მყოფ სკოლაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ძირითადად ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იკვეთება შესაბამისი პრაქტიკა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის მართვის ძირითადი მექანიზმები, მათ შორის ვაკანტური პოზიციების შევსების პროცედურები. დოკუმენტის მიხედვით, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში სკოლა აცხადებს კონკურსს და ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, მათ შორის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით". საკვალიფიკაციო მოთხოვნები ქვეყნდება შესაბამის დასაქმების პლატფორმაზე (teacherjobs.ge), რაც მიუთითებს კადრების შერჩევის პროცესის ფორმალიზებაზე.

ვიზიტის პროცესში სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალის დროებითი არყოფნის შემთხვევაში სკოლაში მოქმედებს ფუნქციური გადანაწილების პრაქტიკა: მასწავლებლის არყოფნისას მისი საათები ნაწილდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხდება შემცვლელი მასწავლებლის მოწვევა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. აღნიშნული მიუთითებს ინტერვენციული რეაგირების მექანიზმების პრაქტიკულ არსებობაზე.

შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები და პრაქტიკაში არსებული მიდგომები (ფუნქციების დელეგირება, საჭიროების მიხედვით კადრების მოძიება, პროცესების ოპერატიული მართვა) მიუთითებს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია პერსონალის მართვის გარკვეული სტრუქტურირებული ხედვა, რომელიც პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში იკვეთება როგორც პრევენციული, ასევე ინტერვენციული მიდგომების მაგალითები

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვას.

სკოლის მიერ წარმოდგენილია საკონკურსო პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის ვაკანსიის გამოცხადების პრაქტიკა, დირექტორის ბრძანებები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება და სხდომის ოქმები. დგინდება, რომ მასწავლებლის ვაკანტური პოზიციების შევსება ხორციელდება კონკურსის წესით, ვაკანსიის საჯაროდ გამოქვეყნებით დასაქმების შესაბამის პლატფორმაზე (teacherjobs.ge), რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების თანაბარ წვდომას.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის სამსახურში მიღებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე, სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნებით.

დადგენილია, რომ დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო ამავე ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოიცავს როგორც სკოლის წარმომადგენლებს, ასევე მოწვეულ სპეციალისტსა და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელს. აღნიშნული უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ობიექტურობას.

რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, შინაგანაწესის მიხედვით მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე გასაუბრების გზით, რაც იძლევა მოქნილობის შესაძლებლობას, თუმცა ამ შემთხვევაშიც დაცულია შესაბამისობისა და შერჩევის მინიმალური სტანდარტები.

ასევე, პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია ნასამართლეობის შესახებ ცნობები და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის, მსჯავრდებისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ დოკუმენტები, რაც მიუთითებს საკადრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია როგორც შრომით ხელშეკრულებებში, ასევე ვაკანსიების განაცხადებში. ამასთან, სკოლას აქვს შემუშავებული **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი**, სადაც გაწერილია ერთიანი მიდგომა სხვადასხვა პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით.დამატებით, სხვა შიდა დოკუმენტებშიც (მათ შორის საშტატო ერთეულების აღწერებში) წარმოდგენილია მოქმედი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც მიუთითებს საკადრო პოლიტიკის სისტემურობაზე.სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ჩატარებას უზრუნველყოფს 23 მასწავლებელი,მათ შორის 2 წამყვანის სტატუსით,20 უფროსის სტატუსით,ერთ მასწავლებელთან გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება.ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეესაბამება მათ სტატუსს და მოიცავს ყველა სავალდებულო პირობას.

მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, ასევე შესაბამისობაშია სკოლის ექიმის კვალიფიკაცია მის ფუნქციებთან. ამასთან, გამოვლინდა ცალკეული შემთხვევა ხელვნების საგანში, სადაც სკოლამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის დასაქმება. სკოლის განმარტებით, ვაკანსია გამოცხადდა რამდენჯერმე, თუმცა შესაბამისი კანდიდატის მოძიება ვერ მოხერხდა, რის შედეგადაც სკოლამ დროებით დაასაქმა უსტატუსო პირი, რომელთანაც გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება. ვიზიტის განხორციელების პროცესში,სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და გამოაცხადა კონკურსი ხელოვნების მასწავლებლის პოზიციის დასაკავებლად. ადგილზე შესწავლილი დოკუმენტაციით და დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა რომ, დაწყებით საფეხურზე საგნებს:მე და საზოგადოება,სპორტი,მუსიკა,ხელოვნება ასწავლიან მასწავლებლები,რომელთაც კონკრეტულ საგანში არ აქვთ კომპეტენცია დადასტურებული,თუმცა არიან სხვადასხვა საგნის სერტიფიცირებული მასწავლებლები. ანალოგიური სიტუაციაა საგან მოქალაქეობასთან მიმართებითაც. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია რაიონში არსებული კადრების დეფიციტით,თუმცა ახალი სასწავლო წლიდან გაითვალისწინებს ექსპერტთა რჩევას და საათების გადანაწილება მოხდება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო შეხვედრები, იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.

შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, კლუბების შექმნაზე, შეიმუშავებენ კლასისა და თვითმმართელობის ქცევის წესებს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წვრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და

რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა შინაგანაწესის შესაბამისად იყენებს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმებს. სკოლას აქვს სოციალური ქსელი სადაც წარამტებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციის გამოცხადებაა შესაძლებელი. სხვადასხვა ღონისძიებაში მოპოვებული წარმატებისთვის შესაბამისი პირები ჯილდოვდებიან სიგელებით და წარმატება ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში
სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა კათედრებისა და სამუშაო ჯგუფების დებულებები და პროექტები, სადაც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით თანამშრომლობენ სხვა კათედრებთან, პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას („კრიტიკული მეგობარი“), ინტეგრირებულ და პროქტ -გაკვეთილებს.
სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები. სკოლასთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ თანამშრომელთა წახალისება ხდება: მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:
ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება 2/42 საკონკურსო კომისიის შექმნა (19.10.2025წ) და ბრძანება 1/კ-16 სპეც. მასწავლებლის დანიშვნა (02.10.2025წ)

- ბრძანება 2/20 სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა (20.01.2026წ)
- საკონკურსო კომისიის ოქმი N2 (01.102025წ)
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N 2 (05.09.2023წ)
- ბრძანება 2/40 კონკურსის ჩატარების შესახებ (19.09.2025წ)
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- ბრძანება N 2/55. პერსონალის მართვის პოლიტიკა (01.10.2025წ);
- მასწავლებლის პირადი საქმე
- შინაგანაწესი
- შინაგანაწესის ფოტო ფოიეში
- ბრძანება 2/21 წარმატებული გამოცდილების აღიარების შესახებ (20.01.2026წ

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში ვიზიტისას დადგინდა რომ წლის ბოლომდე დაგეგმილია განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება ზრდასრულთა სწავლების თანამედროვე პრინციპებზე და გახდება სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტის ნაწილი. ასევე დანერგილია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მექანიზმები. ჩატარებულ გაკვეთილზე დასწრების შემდეგ ივსება თვითშეფასებისა და კოლეგის მიერ შევსებული ურთიერთშეფასების ფორმები. დირექტორის მოადგილე ახდენს მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს. საჭიროებებიდან გამომდინარე იგეგმება შეხვედრები და კონსულტაციები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთის ძირის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სკოლისპერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენა მოახდინა დირექტორის მოადგილემ მონაცემთა შეგროვებითა და ანალიზით. მონაცემთა შეგროვებისთვის გამოიყენა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, პედაგოგებთან ინდივიდუალური შეხვედრები. თანამშრომელთა მიერ დაფიქსირებულ საჭიროებების საფუძველზე და დირექტორის მოადგილის მიერ შეგროვებული მონაცემების ანალიზის შემდეგ დაიგეგმა პერსონალის განვითარების გეგმა განხორციელებისთვის დაგეგმილი აქტივობები და პერიოდი, რაც ასევე დადასტურდა ადგილზე ვიზიტისას პედაგოგებთან ინტერვიუს დროს

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. სკოლა ყველა თანამშრომლისთვის ქმნის განვითარების ხელმისაწვდომობას და თანაბარ პირობებს. სიახლეების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სოციალური ქსელის დახურული ჯგუფის საშუალებით, სადაც გაერთიანებული არის სკოლის ყველა მასწავლებელი. სკოლაში გამოიყენება განვითარების შემდეგი კომპონენტები: ტრენინგებში მონაწილეობა, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა, სასწავლო მასალებით (წიგნები, მასალები, ჟურნალ-გაზეთები, დამხმარე ლიტერატურა) უზრუნველყოფა, ამავდროულად, მიღებული ცოდნის გამოყენება კოლეგიალურ დონეზეც ფიქსირდება, რაც ზრდის ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლამ გაგვიზიარა ფუნქციური პრაქტიკა: ახალი კადრისთვის ხელშეწყობა და არაოფიციალური ინტეგრაციის კულტურა. წარდგენა თანამშრომელებთან, კლასებთან, მოადგილე ეხმარება ახალ მასწავლებელს, ასევე კოლეგები, კათედრა, არსებობს ურთიერთდასწრება. სკოლა უზრუვნელყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. დირექტორის მოადგილე ინდივიდუალური შეხვედრით აცნობს სკოლის შიდა წესებს და ორგანიზაციულ კულტურას, აძლევს საშუალებას წარადგინოს მოკლე ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ. ამ მიზნით ტარდება პირველი შეხვედრა ორგანიზაციასთან, ხდება დახურულ ჯგუფში მისი გაწევრიანება, საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა და სხვა კეთილგანწყობილი ქმედებების განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის კულტურა ხელს უწყობს ინიციატივების დაფასებას. სკოლამ გაუზიარა პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფს რომ თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიული იდეებისა და მიღწევების გაზიარებაში (მაგ. კათედრის სხდომები, პედაგოგიური საბჭო, სოციალური მედია). ეს პრაქტიკა მიუთითებს არარეგლამენტირებულ, მაგრამ ფუნქციურ წახალისების სისტემაზე. თანამშრომლები ჩართულები არიან ტრენინგებში და სხვა პროფესიულ აქტივობებში. ვითვალისწინებთ მასწავლებლების ინიციატივებს და მათი მოთხოვნების საფუცველძე ვიძენთ საგანმანათლებლო რესურსებს. რამოდენიმე

მასწავლებელმა გამოთქვა დახმარების სურვილი მიმდინარე წელს სტატუსის ამაღლებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით დირექტორი და წამყვანი მასწავლებლები გეგმავენ შეხვედრებს და გაუწევენ კონსულტაციას სხვდასხვა მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2/55. პერსონალის მართვის პოლიტიკა (01.10.2025წ);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- თანამშრომლების თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები;
- მასწავლებელთა საჭიროებების ნუსხა;
- ბრძანება 2/21 სკოლის წარმატებული გამოცდილების აღიარების და წახალისების წესი (20.01.2026წ);
- სერთიფიკატები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს - მათ შორის ხარისხის ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება.

დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი სკოლაში არსებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, თითოეული პროცესის მიზანი, შედეგი, სტრუქტურა და შეფასების მექანიზმი. პროცესები აღწერილია სტრუქტურირებულად, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რისკების შეფასების საფუძველზე იდენტიფიცირდება შემოწმების საჭიროება და პერიოდულად მიმდინარეობს შიდა მონიტორინგი.

ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი) უზრუნველყოფს დოკუმენტის აღსრულებას. დოკუმენტით განსაზღვრულია არაგეგმური შემოწმების შესაძლებლობაც. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს გარე შეფასების კომპონენტსაც, რაც ზრდის პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის მართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგვმა, წლიური სამოქმედო გეგმა და ხარისხის უზრუნველყოფა.
ძირითადი პროცესებია: კურუკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა.
დამხმარე პროცესებია: მართვის საინფორმასციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო სერვისის წარმოება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმის წარმოება (დოკუმენტბრუნვა). აღნიშნული პროცესები დელეგირებულია ,სკოლის თანამშრომლები, მშობლები და მოსწავლეები მონაწილეობენ მმართველობით ძირითად და დამხმარე პროცესებში მათი კომპეტენციის ფარგლებში მიკუთნებულ საკითხებში. სკოლა აღნიშნავს, რომ მმართველობითი და დამხმარე პროცესები ფუნქციონირებს და მათი აღწერა ხდება შრომის შინაგანაწესსა და სასკოლო კურიკულუმში.ასევე დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ გაწერილია სკოლის პროცესების კლასიფიკაცია,განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/ მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში შემუშავებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რათა პროცესი თანმიმდევრულად და ორგანიზებულად წარიმართოს. წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეებზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელიც სკოლას მიმართავს განცხადებით/ საჩივრით.
სკოლაში საჩივრის/განცხადების წარდგენა შესაძლებელია სკოლის საქმისმწარმოებელთან განცხადების/საჩივრის ავტორის მიერ, საფოსტო გზავნილის ან ელექტონული დუკუმენტბრუნვის სისტემის (eFlow) საშუალებით. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციაში ტარდება დაუყოვნებლივ.
სკოლის შინაგანაწესში გაწერილია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის შესაბამისად.
განცხადებას განიხილავს უფლებამოსილი პირი, რომლის კომპეტენციის ფარგლებსაც განეკუთნება განცხადებაზე პასუხის გაცემა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში შემუშავებულია მოწავლის,პერსონალის,მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზი(დამტკიცებულია დირექტორის ბრძ.N2/12.-15.01.2026.)აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ყველა ის მექნიზმი,რომელიც იცავს მოსწავლის,პერსონალის,მშობლის/კანონიერი წარმადგენლის კანონიერ უფლებებს,ასევე უფლების დარღვევის შემთხვევაში სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.სკოლაში პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირს შორის და გაწერიალია სკოლის შინაგანაწესშიც, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქამებული თანამშრომელი.
მშობლის/კანომიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. ასევე სკოლაში არსებობს სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც დადასტურებულია მშობლების თანხმობა ფოტოს და ვიდეოს გადაღება/გამოყენებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი
- ბრძანება 2/50 გასაჩივრების წესის შესახებ (01.10.2025წ)
- ბრძანება 2/12 მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის შესახებ (15.01.2026წ)
- ბრძანება 2/54 საზოგადოებასთან, მშობელთან კომუნიკაციის წესი (01.10.2025წ)
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება 01. (16.09.2024წ)
- შინაგანაწესი
- მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება 5/19 12 სექტემბერი 2022 წ (წამყვანი მასაწ)
- მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება 5/10 12 სექტემბერი 2022 წ (უფროსი მასაწ)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის პრაქტიკის მიხედვით, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას რეგულარული მშობელთა კრებების, სკოლის ფეისბუქისა და ვებგვერდის მეშვეობით. ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია განცხადებების დაფა, საინფორმაციო დაფა. საჭიროების შემთხვევაში ხდება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები, შეხვედრაზე გამოთქმულ მოსაზრებებზე დამრიგებლები ახდენენ რეაგირებას, საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ დირექციას. სკოლა მოსწავლეთა თვითმართველობას მიაწოდა ინფორმაცია "ღირებულებათა განათლების" დანერგვასთან დაკავშირებით. მოსწავლეებმა მზაობა გამოთქვეს ჩართულიყვნენ აღნიშნულ აქტივობაში. ეს პროცესი მიმდინარეობს წარმატებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლამ დეტალურად აღწერა სასკოლო საზოგადოების - მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების - მონაწილეობა სკოლის მართვის ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ისგ ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა).

მტკიცებულებებში წარმოდგენილია ოქმები და სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი, რაც ადასტურებს მონაწილეობის პრაქტიკას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2/03 სადამრიგლებლო /კათედრის დებულებების დამტკიცების შესახებ (15.01.2026 წ)
- პედ,საბჭოს ოქმი N-4 (30 მაისი 2025 წ)
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N-4 (20 ოქტომბერი 2025 წ)
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N-4 (24 დეკემბერი 2025 წ)
- მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევის შესახებ (13.06.2025 წ)

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების დაცვის მექანიზმი, განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის გათვალისწინებით პირველ სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ორივე სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლაში დამონტაჟებულია საევოკუაციო გასასვლელი მანიშნებლები, გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ტელეფონის ნომერი „112“. სკოლაში დამონტაჟდდა დაცვისა და ხანძარსაწიააღმდეგო სიგნალის მიმღები და აღმწერი აპარატურა, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების დეტექტორები.თუმცა სკოლა არაა აღჭურვილი ვიდეო-სათვალთვალო კამერებით არც შენობაში და არც სკოლის გარე პერიმეტრზე.დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა შესაცვლელია სკოლის შენობის ტექნიკური ნახაზი,რომელიც აუცილებელია საევაკუაციო გეგმის გასაახლებლად,აღნიშნული საკითხის მოგვარების შემდეგ მოხდება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან.ასევე სკოლას არ აქვს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრნველყოფის გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან,ასევე ვიდეოსათვალთვალო სისტემის მოწყობის მოთხოვნა უფლებამოსილ ორგანოსთან.ვადად მითითებული აქვთ 12 თვე,რასაც ეთანხმებიან ექსპერტები.ადგილზე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ,რომელიც დამაკმაყოფილებელია.ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და პრობლემის დროულად მოგვარების მიზნით უფლებამოსილ ორგანოებთან გააგზავნა წერილები . ა სევე მოქმედი

კანონმდებლობის თანახმად სკოლა ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეცი ალისტი,თ უმცა ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი,რის შესახებაც ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა

სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

ა) შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2027 წლის 18 მარტამდე უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.

ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან.

გ) ვიდეოსათვალთვალო სისტემის მოწყობა

სკოლას მიეცა რჩევა: აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას სკოლის ექიმის საშუალებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი. თუმცა, ვერ დასტურდება სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა, ვინაიდან ექიმთან ინტერვიუს დროს დადგინდა რომ იგი პარალელურად მუშაობს სკოლასთან ახლოს მდებარე სოფლის სამედიცინო მომსახურების ცენტრში ექიმად.ვინაიდან შესაძლოა იგი არ იმყოფებოდეს საჭიროების დროს სკოლაში,ნაკლებად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პირველად დახმარებას. სკოლაში ვიზიტისას,სკოლამ ვერ წარმოადგინა მისი სამუშაო განრიგი ან სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ექიმის მუდმივ ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში.სკოლაში შემუშავებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმის წესები და პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის ექიმი. ექიმის კაბინეტი მდებარეობს პირველ სართულზე, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო მედიკამენტებითა და ინვეტარით. ყველა საჭირო მედიკამენტი შენახული და დაცულია კანონის შესაბამისად.ექიმის მიერ ხდება ყველა იმ რეგისტრაცია, ვინც სარგებლობს აღნიშნული მომსახურებით,ასევე აღრიცხავს ყველა გაცემულ მედიკამენტს.

აღნიშნული საკითხი ექსპერტების მიერ შეფასებული იყო ხარვეზად,თუმცა სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ,გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრება და საკითხის მოგვარება წარმოადგინა შესაბამისობის გეგმაში,რის საფუძველზეც ინდიკატორის მოთხოვნა გადავიდა მეტწილდაკმაყოფილებაში

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული

ხარვეზი:სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა და ექიმის ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესის განმავლობაში, შესაბამისი სამუშაო განრიგის დადგენით ან ალტერნატიული მექანიზმის დანერგვით;

უზრუნველყოს პირველადი დახმარების სერვისის ხელმისაწვდომობა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი, 2022).

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი რომელიც გადამზადებულია მანდატურის სამსახურის მიერ. სკოლა აწარმოებს ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალს, რომელშიც ფიქსირდება სკოლაში შემომსვლელ სტუმართა შესახებ მონაცემები. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც იცავენ პერიმეტრზე სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების წესებს. მორიგეობის განრიგი გამოკრულია თვალსაცინო ადგილას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლამ გაგვიზიარა პრაქტიკა, რომ სასკოლო საზოგადოება სისტემურად ცდილობს ძალადობის ნიშნების ამოცნობასა და დროულ რეაგირებას, რაც წარმოადგენს უსაფრთხოებისა და პრევენციის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს. სკოლაში აქტიურად გამოიყენება თემატური სასწავლო აქტივობები (დისკუსიები, შეხვედრები), რაც ემსახურება მოსწავლეების ღია თვითგამოხატვას, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებასა და თანასწორობის წახალისებას. სკოლის მრჩეველთა საბჭო ჩართულია საკითხების ანალიზსა და შესაბამისი ღონისძიებების ინიცირებაში, რაც კიდევ ერთი ბერკეტია ფსიქო-სოციალური უსაფრთხოების მიმართულებით. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა,

რომ სკოლა ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებსა და პროექტებს ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზრუნავს სკოლის დამლაგებელი, პასუხისმგებელია სკოლის ექიმი. სკოლას ამჟამად ყავს ერთი დამლაგებელი. სკოლის შენობაში მშრალი და სველი წესით ყოველდღიურად ლაგდება საკლასო ოთახები, დერეფანი ორივე სართულზე და სველი წერტილები. კვირაში ერთხელ სადეზინფექციო ხსნარით მუშავდება მერხები და სხვა ზედაპირები.სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას ექსპერტებმა დააფიქსირეს მაღალი ხარისხის სისუფთავე და მოწესრიგებულობა. სველი წერტილები სრულად აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით - თხევადი საპონი, ქაღალდი, ხელსახოცი, სანაგვე ურნა და სხვ. საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებები ინახება სპეციალურად დაცულ და ჩაკეტილ სათავსოში, რაც შეესაბამება უსაფრთხოების სტანდარტებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივად და ეთიკურად გამართულ პროცესს, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ისე პრევენციულ ზომებს: ოფიცრის ფუნქციებს ასრულებს ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს ზედამხედველობის რეგულარულობას და შესაბამისობას კანონთან.მშობელთან და სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს თანხმობის ნაწილს, რაც განსაზღვრავს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესებს (მათ შორის ფოტოს, ვიდეოს, სახელის/გვარის გამოყენებას სკოლის გვერდებსა და პროექტებში). ხელშეკრულებებში ან ბეჭდურ თანხმობის ფორმებში განსაზღვრულია სენსიტიური ინფორმაციის დამუშავების წესები - განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა ან ნარკოლოგიური ისტორია.სკოლა მოქმედებს „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით და უზრუნველყოფს მისი მოთხოვნების დაცვას როგორც მოსწავლეთა, ისე პერსონალის, მშობლებისა და სხვა პირების მიმართ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია პირადი მონაცემები და მასზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. მონაცემებზე წვდომა აქვს თანამშრომლებს იმ მოცულობით რომელიც მათ სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევა ევალება რესურსცენტრის მიერ გამოყოფილ პირს. პარსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ანგარიშ ვალდებულია სკოლის დირექტორთან. სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ვრცელდება მოსწავლეთა, მათი მშობლების, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მონაცემებზე - და ეს მოიცავს მონაცემების დამუშავების ნებისმიერ ფორმას (შენახვა, გადაცემა, გადამუშავება და ა.შ.).სკოლა ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, რომელშიც მონაცემებზე წვდომა მხოლოდ უფლებამოსილ პირებს აქვთ, სპეციალური პაროლით, რაც ქმნის ინფორმაციის დაცვის ტექნიკურ ბარიერს და ზრდის მონაცემების უსაფრთხოების დონეს.მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები ინახება კარადებში, რომელიც განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, რაც გარკვეულწილად ზრდის კონფიდენციალურობის დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს ადამიანების ადა პროცესების უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს განიხილავენ მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. მრჩეველთა საბჭოს მიერ მიწოდებულ რეკომენდაციებს სკოლა ითვალისწინებ მომვალ მუშაობაში. სკოლაში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს მექანიზმს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. აღნიშნული ჯგუფი უზრუნველყოფს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მექანიზმების პერიოდულ შეფასებას. შეფასება მოიცავს დაკვირვების სტრუქტურირებულ მექანიზმებს, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, შიდა მონიტორინგს და დისკუსიურ ფორმატებს, რაც ადასტურებს შეფასების პროცესის მრავალფეროვნებას.ეს მექანიზმები მჭიდროდ უკავშირდება სკოლაში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებასა და ოპერაციული პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 2/11 ადამიანური პროცესების უსაფრთხოების დამტკიცების შესახებ (15.01.2026 წ)
- ბრზანება 2/01 სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის წესების შესახებ (15.01.2026 წ)

- ბრძანება 2/07 უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (27.02.2019წ)
- ხელშეკრულება 5/30 (22.09.2020 წ)
- ხელშეკრულება 5/01(03.01. 2025 წ)
- ბრძანება 2/05 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის შესახებ (15.01.2026 წ)
- ბრძანება 2/13 ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო უზრუნველყოფის მექანიზმი (15.01.2026წ)
- ბრძანება 2/55 პერსონალის მართვის პოლიტიკა (01.10.2025 წ)
- ბრძანება 2/09 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა (24.03.2025 წ)
- ბრძანება 2/16 საგანგებო შტაბის დამტკიცების შესახებ (15.01.2026 წ)
- ბრძანება2/02 სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (15.01.2026წ)
- სურათები ცეცხლმაქრი, სახანძრო ფარი, საეკუაციო გეგმა, ხანძრის საწინააღმდეგო სიგნალიზაციის პანელი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერებისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის,ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მდებარეობს 5780.00კვ.მ ფართობზე,რომელზეც განთავსებულია 617 კვ.მ. ფართობის ორ სართულიანი შენობა,სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი,ეზო შემოღობილია რკინის კონსტრუქციის ღობით,რომელითაც გამოყოფილია სავალი სატრანსპორტო გზიდან.ეზოში მდებარეობს ღია სპორტული მოედანი,რომელიც საჭიროებს შეკეთებას.სკოლას გააჩნია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, თუმცა მათი შესაბამისობა სრულად ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას ყველა კომპონენტში. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 63 მოსწავლე,მათ შორის 2 სსსმ. სკოლის შენობაში განთავსებულ ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებითა და სკამით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშა მდგომარეობაშია 8 პერსონალური კომპიუტერი და 2 პრინტერი, პროექტორი და პროექტორის ეკრანი. 4 საკლასო ოთახში დამონტაჟებულია ტელევიზორის ეკრანი,რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.სკოლას არ გააჩნია საკონფერენციო დარბაზი,თუმცა სხვადსახვა აქტივობების განსახორციელებლად იყენებენ სკოლის ფოიეს. სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი.ასევე არაა ცალკე ფართი გამოყოფილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის, სკოლაში არსებულ თვალსაჩინოებებს (თვალსაჩინოებებს,მულაჟებს,მიკროსკოპს) მასწავლებლები ინახავენ საკლასო ოთახებში. სსსმ მოსწავლეების სპეც მასწავლებელი მომსახურებას უწევს დირექტორის კაბინეტში დროებით მოწყობილ სივრცეში,,სადაც განთავსებულია კარადა სხვადასხვა თვალსაჩინოებებით,მოსწავლის ნამუშევრებით

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას აქვს ერთი ძირითადი ორსართულიანი შენობა.შენობა თბება ცენტარლური გათბობით.სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის საზიარო სივრცეები:ბიბლიოთეკა,სკოლის დერეფანი პირველ და მეორე სართულზე,ღია ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი.სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი.სკოლის ბაზაზე არსებული მწირი მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა აქტივობების განსახორცილებლად სასკოლო საზოგადოება იყენებს ღია სივრცეს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია: მიზნები და ამოცანები, პრინციპები და ფუნქციები,თუ როგორ ხდება საბიბლიოთეკო რესურსის გატანა-დაბრუნება, საბიბლიოთეკო საქმის კორდინაცია. ბიბლიოთეკის ოთახში გამოკრულია მკითხველის უფლება-მოვალეობები, მკითხველის პასუხისმგებლობა. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის დრო. ბიბლიოთეკარი აწარმოებს მასალის აღრიცხვასა და დაცვას. ვიზიტის პროცესში ადგილზე იქნა დათვალიერებული ბიბლიოთეკა,საბიბლიოთეკო ფონდი მოძველებულია, მოიცავს სახელმძღვანელოებს, მხატვრულ და მეთოდურ ლიტერატურას. ყველა წიგნი დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესის შესაბამისად, ფუნქციონირებს ფორმულიარების წარმოების სისტემა. ასევე, ბიბლიოთეკარის თქმით, მნიშვნელოვანი ნაწილი წიგნებისა შინაარსობრივად მოძველებულია. სკოლა მუშაობს აღნიშნულ გამოწვევაზე - გეგმავს მოძველებული ფონდის ჩამოწერასა და განახლებას, თუმცა ამ დროისთვის წარმოდგენილი ფლობის დოკუმენტაცია მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნებს. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა რესურსებზე,ბიბლიოთეკაში შექმნილი იყო პოზიტიური და საქმიანი გარემო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლა ნაწილობრივ ადაპტირებულია. სკოლაში ირიცხება ორი სსსმ მოსწავლე,რომელსაც ემსახურება სპეც მასწავლებელი .ორივე მოსწავლე შესაბამის კლასთან ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობს დირექტორის კაბინეტში მოწყობილ ცალკე სივრცეში,სადაც განთავსებულია კარადა ,შესაბამისი რესურსებით და მოსწავლის ნამუშევრებით,თუმცა სივრცე არაა გამიჯნული, გამოყოფილი არაა არანაირი ტიხრით,თუნდაც დროებითი შირმით.სკოლაში მოწყობოლია ადაპტირებული სველი წერტილი,თუმცა სკოლას არ აქვს ლიფტი,პანდუსი. სკოლაში ვიზიტისას, დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა რომ სკოლამ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გამოაცხადა ტენდერი პანდუსის მოსაწყობად, გამოვლინდა გამარჯვებული და ელოდებიან ხელშეკრულების გაფორმებას, რის შემდეგაც დაიწყება პანდუსის მოსაწყობი სამუშაოები.აღნიშნული საკითხი ექსპერტების მიერ შეფასებული იყო ხარვეზად,თუმცა სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ,გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრება და საკითხის მოგვარება წარმოადგინა შესაბამისობის გეგმაში,რის საფუძველზეც ინდიკატორის მოთხოვნა გადავიდა ნაწილობრივ დაკმაყოფილებაში
სსსმ მოსწავლეების საჭიროების უზრუნველსაყოფად სკოლაში მოეწყოს რესურსოთახი.ფართის გამოყოფამდე,გაიმიჯნოს დირექტორის სამუშაო სივრცე , რესურს ოთახისთვის გამოყოფილი ფართისაგან.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივადაა დაკმაყოფილებული

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლამ ინდიკატორის მოთხოვნის საპასუხოდ წარმოადგინა როგორც წერილობითი თვითშეფასება, ასევე ვიზიტისას დამაჯერებელი პრაქტიკული მაგალითები და გარემოს ვიზუალური მტკიცებულებები.სკოლა აცხადებს, რომ მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობაზე სკოლის ცხოვრებაში - ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით. სკოლის სივრცეები გამოყენებულია არა მხოლოდ გაკვეთილებისთვის, არამედ მრავალფეროვანი აქტივობებისთვის, რაც ავითარებს მოსწავლეთა ლიდერულ, მოქალაქეობრივ და შემოქმედებით უნარებს. ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლა ვიზიტისას და დააფიქსირეს, რომ: სკოლის დერეფნები დეკორირებულია სკოლის ისტორიის ამსახველი ბანერებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მიღწევებით, პრინტებით, მარადმწვანე მცენარეებით; საკლასო ოთახებში, განსაკუთრებით რესურსოთახში, ესთეტიკური და სპორტული მიმართულების სივრცეებში, წარმოდგენილია ორიგინალური რესურსები, ნახატები, ინსტრუმენტები და ვიზუალური მასალა;სკოლის ეზო და კაბინეტები გამოიყენება არაფორმალური განათლების აქტივობებისთვის, კლუბების და ღონისძიებების ჩასატარებლად. სკოლა თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზნით; მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობით ხორციელდება სხვადასხვა საზოგადოებრივი და კულტურული ღონისძიებები.მოსწავლეებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ აქტივობების ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეების მიერ, რაც მიუთითებს მძლავრ მოქალაქეობრივ თვითინიციატივაზე და გარემოს სოციალურ დანიშნულებაზე. სკოლა ქმნის მრავალმხრივ, ინტეგრირებულ გარემოს, რომელიც ემსახურება როგორც საგანმანათლებლო, ასევე სოციალურ, კულტურულ და შემოქმედებით მიზნებს. ინფრასტრუქტურის გამოყენება ამ მიზნებისთვის არის სისტემური, მიზნობრივი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რეესტრიდან ამონაწერი;
- შენობის უსაფრთხოებაზე მიწერილობა;
- ხელშეკრულება N ე-86/01 საექსპორტო მომსახურების შესახებ (13.02.2026წ);

- ბრძანება 2/56 ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი(01.10.2025წ);
- ბრძანება 2/18 მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი(20.01.2026 წ);
- ფოტოები ადაპტირებული საპირფარეშო და რესურს ოთახი;

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 5 კომპიუტერი. სკოლას აქვს ერთი პროექტორი, 4 საკლასო ოთახში დამონტაჟებულია მონიტორი, რომელსაც საჭიროებიდან გამომდინარე იყენებენ პედაგოგები. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი. საკლასო ოთახებში არ ვრცელდება სკოლის ინტერნეტი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგები და მოსწავლეები იყენებენ საკუთარ მოწყობილობებს და ინტერნეტს. პრინტერის აპარატი.

სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ონლაინ სივრცეში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

თვითშეფასებისა და ექსპერტების მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ:ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებსა და პერსონალისთვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომლის საქმიანობას ხელმძღვანელობს ისტის მასწავლებელი.სკოლას აქვს ოთხი პერსონალური კომპიუტერი,ერთი პროექტორი, ერთი პრინტერი, ერთი ნოუთბუქი. კომპიუტერული ლაბოროტორია გამოიყენება როგორც საგაკვეთილო ისე სადემონსტრაციო მიზნებისთვის, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების თანაბარ და მიზნობრივ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2/10 კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი (15.01.2026წ)
- ბრძანება 2/56 ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი(01.10.2025 წ)
- მიღება -ჩაბარება კომპიუტერის გაცემაზე (10.09.2024წ)
- ბრძანება 2/07 მატერიალური რესურსებით ექსპლუატაციით სარგებლობის წესი(15.01.2026წ)

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შედგენილი და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს **საქმისწარმოების ერთიანი წესი**, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- **დოკუმენტების რეგისტრაციის პროცედურები** (შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია);
- **დოკუმენტების ფორმები და ტიპების კლასიფიკაცია**;
- **პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი**;
- **დავალებების შესრულების კონტროლის მექანიზმები**;
- **ინფორმაციის გაცემისა და ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი**.

აღნიშნული წესი ითვალისწინებს **საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონს** და მოქმედი ადმინისტრაციული რეგულაციების მოთხოვნებს.სკოლა ახორციელებს **შერეულ ფორმატში** საქმისწარმოებას:

- ნაწილობრივ იყენებს **ელექტრონულ სისტემას** კორესპონდენციის დასარეგისტრირებლად;
- პარალელურად აწარმოებს **მატერიალურ ჟურნალებს**, მათ შორის:
    - **ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი**;
    - **შემოსული და გასული კორესპონდენციის ჟურნალები**;
    - **შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი**;
    - **პირადი საქმეების აღრიცხვის დოკუმენტაცია**.დამუშავებული კორესპონდენციის **ელექტრონული რეესტრი** წარმოდგენილია და ექსპერტების მიერ დადასტურებულია.

დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები:

- **დანომრილია, აკინძულია, ბეჭედდასმულია** და უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილია;
- უზრუნველყოფილია დოკუმენტაციის სანდოობა და მთლიანობა;
- შეესაბამება საქმისწარმოების შესახებ დადგენილ ადმინისტრაციულ რეგულაციებს.

ექსპერტების ვიზიტისას:

- დადასტურდა, რომ **საქმისწარმოების წესი ფუნქციურად მოქმედია**;

- პერსონალი და ადმინისტრაცია მოქმედებენ წესით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;
- **ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტური ანალიზით** დადასტურდა წესის რეალური აღსრულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება გამართული თანამედროვე ტექნოლოგიები: https://eflow.emis.ge/ მართვის საინფორმაციო სისტემა https://eschool.emis.ge/სკოლის ელექტონული ფოსტაvanMtisdziri@mes.gov.ge და natelaapo@gmail.com.სკოლაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და სხვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პროცესის წარმართვაში. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს საქმისწარმოების პროცესის დამუშავების გამჭვირვალობასა და ოპერატიულობას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბიუროკრატიულ შეფერხებებს. დოკუმენტბრუნვის გარდა, სკოლის მართვაში ინტეგრირებულია სხვადასხვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგია, მათ შორის:

- **Eschool** - სკოლების მართვის სახელმწიფო საინფორმაციო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მონაცემების რეგისტრაციას, მათ შეფასებებსა და მოძრაობას;
- **ელექტრონული ჟურნალი** - უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ციფრულად აღრიცხვას;
- **ელ. ფოსტა და ღრუბლოვანი პლატფორმები** (Google Drive, Office 365, Microsoft Teams) - აქტიურად გამოიყენება როგორც დირექციის, ისე მასწავლებლების მიერ პროფესიული საქაღალდეების, კურიკულუმების, მასალის გაცვლისა და საერთო თანამშრომლობისთვის.ტექნოლოგიური საშუალებები სკოლის მიერ გამოყენებულია არა ფორმალურად, არამედ რეალურად, მუშა პროცესის ორგანიზებისთვის, რაც დასტურდება როგორც თვითშეფასების დოკუმენტით, ისე ექსპერტების მიერ ვიზუალურად დათვალიერებისას.სკოლა იყენებს ტექნოლოგიებს სისტემურად და სტრატეგიულად - დოკუმენტბრუნვა და საქმისწარმოება არ არის იზოლირებული პრაქტიკა, არამედ ინტეგრირებულია ზოგად მენეჯმენტსა და სასწავლო პროცესში.გარდა ადმინისტრირების, ტექნოლოგიური რესურსები გამოიყენება:

- **სასწავლო პროცესის მართვაში**;
- **მასწავლებელთა შეფასებისა და განვითარების პროცესში**;
- **გაციფრულებული პროფესიული პორტფოლიოების მართვაში**.

ინდიკატორი მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლა სრულად იყენებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS) და მასში დროულად, სიზუსტით და წესების სრული დაცვით ასახავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას.სკოლის პროფილში ასახულია:

- სკოლის ბარათის მონაცემები;
- მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით;
- მასწავლებელთა სია, მათი კვალიფიკაცია და სტაჟი;
- შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სია;
- საკონტაქტო და ინფრასტრუქტურული მონაცემები;
- სხვა შესაბამისი სამართლებრივი ან ტექნიკური ინფორმაცია, რაც EMIS-ს მოითხოვს.ექსპერტების მიერ სისტემაში მონაცემების გადამოწმებისას დადასტურდა, რომ ინფორმაცია მოცემულია სრულად და განახლებულია,ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის სკოლის სამართლებრივი სტატუსის, პერსონალის კვალიფიკაციის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ,სისტემაში არ გამოვლენილა ხარვეზები ან შეუსაბამობები.სკოლა ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას - EMIS სისტემაში რეგისტრაცია და მუდმივი განახლება. სისტემის გამოყენება ხდება არა ფორმალურად, არამედ აქტიურად ადმინისტრირების და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

ინდიკატორის მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა საქმიანობს საქმისწარმოების წესით განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ანგარიშგების, დოკუმენტაციის წარდგენისა და ინფორმაციის მიწოდების ფორმალიზებასა და ეფექტურობას. არსებობს განსაზღვრული ვადები და ფორმატები შემოსული კორესპონდენციისა და უწყებებთან კომუნიკაციის რეაგირებისთვის. დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს: საგანმანათლებლო რესურსცენტრთან; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მათ შორის სხვადასხვა პროგრამისა და პროცესის ადმინისტრირებისას; სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (სსიპ-ებთან) - მაგალითად, „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან", მანდატურის სამსახურთან.

სკოლა 10 დეკემბრამდე წარადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ უწყებებთან - პრეზიდენტთან, პრემიერ -მინისტრთან და პარლამენტთან.
ეს პროცესი ასახულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლში და სკოლა ასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას. ექსპერტების მიერ ვიზიტისას დადგინდა რომ სკოლა უზრუნველყოფს დროით და შინაარსობრივად სრულყოფილ ანგარიშგებასა და კომუნიკაციას განათლების სექტორის მარეგულირებელ ორგანოებთან; იყენებს შესაბამის ელექტრონულ სისტემებს ანგარიშგების სიზუსტისა და არქივაციისთვის, ასრულებს საჯარო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას კანონით დადგენილი წესით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2/51 საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ (01.10.2025წ)
- სკოლი ვებ-გვერდი
- დოკუმენტურლი ბრუნვის სიტემა https://eflow.emis.ge/
- ელექტონული ფოსტა vanMtisdziri@mes.gov.ge
- მართვის საინფომრაციო სისტემა https://eschool.emis.ge/

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია პირველადი ინფორმაცია. სკოლის ადმინისტრაცია საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელ Facebook-ს, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებაზე, სასწავლო და არაფორმალურ აქტივობებზე. საზოგადოებასთან კომუნიკაცია ასევე მიმდინარეობს ღია კარის დღეებით, სკოლის მიერ განსაზღვრული ვიზიტის დღეებითა და უკუკავშირის ფორმების მეშვეობით.

სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკა, რაც აჩვენებს სისტემურ მიდგომას კომუნიკაციის მართვისადმი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ინფორმაციის სიზუსტესა და დროულ გამოქვეყნებაზე. წარმოდგენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით რეგულირდება სკოლის მხრიდან ინფორმაციის გავრცელების პროცედურები. ფეისბუქ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია თანხვედრაშია სკოლის ოფიციალურ მიზნებსა და ღირებულებებთან. არ გამოვლენილა მცდარი ან დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნების ფაქტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად იყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მრავალფეროვან გზებს,მათ შორის აღსანიშნავია მშობლებთან,თემთან აქტიური შეხვედრების ციკლი,სადაც განიხილავენ როგორც მიღწეულ შედეგებს ასევე მსჯელობენ არსებულ გამოწვევებზე.სკოლას განსხვავებული პრაქტიკა აქვს დანერგილი სასკოლო საზოგადოების აზრის შესასწავლად-სკოლის პირველი სართულის ფოეში განთავსებულია დალუქული ყუთი,სადაც სასკოლო საზოგადოების წევრები იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება პირადპირი კომუნიკაცია,საკუთარ მოსაზრებებს,შეფასებებს და სურვილებს განათავსებენ ყუთში,რომელიც მუშავდება მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ორთვეში ერთხელ,ადრესატებს მიეწოდებათ ინფორმაცია,რასაც სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის უკეთ წარმართვისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი „https://eschool.emis.ge/“ , სადაც განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზე, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქამიანობისა და საგანმანათლებლო ინფომრაციის ხელმისაწვდომობას

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლას სამინისტროს სკოლების ერთიან ვებ გვერდზე სრულად აქვს განთავსებული ყველა საჭირო ინფორმაცია,მათ შორის:საკონტაქტო ინფორმაცია, სკოლის ფილოსოფია(მისია,ხედვა, ღირებულებები),სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმი,შინაგანაწესი,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი დამონიტორინგის მექანიზმი,მოსწავლეთა ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,ადაპტაციის წესი, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის მეთოდოლოგია,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა,კლუბების საქმიანობის შესახებ.ინტერვიუს დროს დადგინდა რომ,სკოლა გეგმავს,სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები ასევე განათავსოს პორტალზე.ინფორმაცია პერიოდულად განახლდება და წარმოადგენს სკოლის ღია კომუნიკაციის პოლიტიკის რეალიზაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2/54 საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი (01.10.2025 წ)

- სოციალური ქსელების ლინკები
- აქტივობების ლინკები

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის და 2026 წლის მოქმედი ბიუჯეტები და მათთან შესაბამისობაში მყოფი სამოქმედო გეგმა ფინანსური ხარჯების შესაბამისობის დადგენის ანალიზისთვის. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია ასახავს, რომ სკოლა ფლობს საჭირო ფინანსურ რესურსებს დაგეგმილი საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული აქტივობების შესასრულებლად.

ფინანსური რესურსის ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. დამატებითი შემოსავალი სკოლას არ აქვს.

წლიურ შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსის შეძენა. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს,მ ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი დირექტორთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო. მიმდინარე წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია 2025 წლის 9 დეკემბერს ჩატარებული სამეურვეო საბჭოს რიგით მე-7 სხდომაზე. სკოლა შესყიდვების გეგმას ადგენს წინა წლის 20 ნოემბრამდე და შესაბამისი ბრძანების თანახმად განათავსებს შესყიდვების სააგენტოს გვერდზე. საჭიროებიდან გამომდინარე ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირებაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ფინანსური რესურსების დაგეგმვის პროცესი სკოლის მიერ ხორციელდება მომავალი წლის სავარაუდო შემოსავლებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. შემოსავლების და ხარჯების შესახებ ინფორმაცია ასახულია სკოლის ბიუჯეტში, რომელიც განიხილება და დამტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ.ფინანსური პროცესების გამჭვირვალობას უწყობს ხელს შესყიდვების წლიური გეგმა, რომელიც დაყრდნობილია სკოლაში კათედრებისა და ადმინისტრაციის მოთხოვნებზე. მიმდინარეობს პერიოდული მონიტორინგი და ფინანსური ანგარიშგება. ანგარიშები ხელმისაწვდომია სკოლის სათემო მართვის სტრუქტურებისთვის, რაც ზრდის ფინანსური მართვის პასუხისმგებლიანობასა და ღიაობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანებაN 2/58 სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმისა და ფორმის დამტკიცების შესახებ (18.11.2025 წ)
- ბრძანება N 2/59 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ (18.11.2025 წ)
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N-7 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცება(09.12.2025წ)
- 2026 წლის ბიუჯეტი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

2. მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად. აღნიშნული დადასტურდა სკოლის დოკუმენტაციის გაცნობითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით.სკოლას შემუშავებული და გაფორმებული აქვს მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენელთა ხელშეკრულება, რომელიც ნათლად აყალიბებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რაც ერთისმხრივ უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის კანონით გათვალისწინებული უფლებებით წარმართვას.ამავე მიზანს განამტკიცებს და აკონკრეტებს სკოლის მიერ დამტკიცებული სხვადასხვა დოკუმენტები, კონკრეტულად; სკოლის შინაგანაწესი,მოსწავლეთა ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევისა, მობილობის, სტატუსის დაძლევის, შეჩერებისა და შეწყვეტის მეთოდოლოგია (ბრძანება N 2/09) და სხვა. სკოლას ასევე, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს (ბრძანება N 2/19) სსსმ პირისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების დოკუმენტი,რომელიც ცალსახად „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად აყალიბებს სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციას, რაც კიდევ ერთი მტკიცებულებაა დოკუმენტალურად იმისა, რომ სკოლას გააჩნია შიდა რეგულაციები მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დამრიგებელი და დირექტორი კი სკოლის გაერთიანებულ კრებაზე, სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის სამუშაო გეგმას, ქცევის კოდექსს და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში და ყოველი ცვლილება ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი და მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, შესაბამისად,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ინდივიდუალური პრესონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალური ფორმები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევისა, მობილობის, სტატუსის დაძლევის, შეჩერებისა და შეწყვეტის მეთოდოლოგია (ბრძანება N 2/09) ;
- (ბრძანება N 2/19) სსსმ პირისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების დოკუმენტი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამა/დამრიგებელთა პორტფოლიო.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევისა, მობილობის, სტატუსის დაძლევის, შეჩერებისა და შეწყვეტის მეთოდოლოგია (ბრძანება N 2/09),რომლიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებითვე ახდენს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის'' შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით და მოსწავლეთაპირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 4 ეტაპად. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირი სხვადასხვა კლასში შეიძლება ჩაირიცხოს დირექტორის ბრძანებით, მშობლის განცხადების საფუძველზე. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები და შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დამრიგებლებთან,მშობლებთან გასაუბრებითა და მშობელთა კრების ოქმებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო

სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტებს. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს შექმნილი კლუბების შესახებ;სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების, უფასო წრეები, როგორიცაა სამოქალაქო განათლების წრე „აქტიური მოქალაქეები“. ფრენბურთისა და ფეხბურთის“ წრე რომელის ეგიდითაც, მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით სისტემურად ეწყობა გარდაცვლილი სპორტის მასწავლებლის -სერგო ნუცუბიძის სახელობის ტურნირი ;
კვალიფიციური კადრის დეფიციტის გამო სკოლა ვერ თავაზობს მოსწავლეებს არჩევანს მეორე უცხოურ ენებს შორის. თუმცა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს პროექტული სწავლებებისას. სკოლას ემსახურება ავტობუსი ყოველივეში მონაწილეთა **მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.** აღნიშნულიდან გამომდინარე,
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, დამრიგებლებთან და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით. შესაბამისად,

4.1.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან;
- გამოკითხვის ფორმატები;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და პირველკლასელთა დამრიგებელთა პროგრამით/პორტფოლიოთი დადგინდა, რომ პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს და მოსწავლეებს ღია კარის დღს, აცნობენ სკოლის სივრცეს და პასუხობენ მშობლების/კანონიერ წარმომადგენელბის მიერ დასმულ კითხვებს.უშაოლდ სწავლის დაწყების დღეს კი, სკოლა აწყობს საზეიმო მიღებას, თეატრალური წარმოდგენებით, სკოლის დირექცია და პირველ კლასელთა დამრიგებლები ხვდებიან მოსწავლეებს და გადასცემენ საჩუქრებს, სასკოლო ნივთებს და ბუქებს.

მაღალი კლასების მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით კი სკოლის დირექცია დამრიგებელს აცნობს მოსწავლეს, რომელიც წარუდგენს მას კლასის დანარჩენ მოსწავლეებსა და საგნების მასწავლებლებს, აცნობს სკოლის შენობას, ტერიტორიას, შინაგანაწესს და სკოლაში/კლასში დამკვიდრებულ წესებს. ადაპტაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება გასვლითი ღონისძიებები, ჯგუფური სამუშოები და როლური თამაშები. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების მიღების პროცედურა და სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები,

სადამრიგებლო პროგრამებში ასევე გაწერილია დამრიგებლის მუშაობის მიმართულებები დამეგობრებისა და კლასში მეგობრული ატმოსფეროს დამკვიდრების მიმართულებით, რაც მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის ნაწილია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დამრიგებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, კლასების დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან ისეთი გარემო, რაც მათ დამეგობრებას შეუწყობს ხელს და რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მოსწავლის ადაპტაციის პროცესზე. სკოლას ერიცხება 2 სსსმ მოსწავლე, სკოლა ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური სწავლების პრინციპებთან დაკავშირებით და შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სკოლას ჰყავს 1 სპეც. მასწავლებელი.

შესაბამისად,

ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს სივრცე სასკოლო ღონისძიებებისა და კონფერენციების მოსაწყობად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, შესაბამისად,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების

ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს სივრცე სასკოლო ღონისძიებებისა და კონფერენციების მოსაწყობად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, შესაბამისად,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, გასვლითი გაკვეთილები, ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებაში, შეჯიბრებები, კონფერენციები და სხვა. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად უწყობს ხელს მსგავსი არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რასაც ადასტურებს სკოლაში განხორციელებული მუშაობა. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითმოეწყო იმიტირებული სასამართლოები, დაარსდა თეატრარული სამოქალაქო განათლების კლუბი,მოეწყო საახალწლო კარნავალი, მოსწავლეთა ინიციატივით ჩატარდა საშობაო ღონისძიება „ალილო“ შემოწირულობით კი მოხდა სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით სკოლის დირექციამ მიიწერა წერილი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში და გაკეთდა სკოლამდე მისასვლელი ხიდი, სოფლში მდებარე ტაძრამდე მისასვლელი გზა და სხვა მრავალი.

პროექტული სწავლების ფარგლებში განხორციელდა პროექტი „ მონაწილეობა ადგილობრივ თვითმართველობაში“

შესაბამისად,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების გასარკვევად დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს და მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება.ასევე, სკოლა აქტიურად იყენებს და აწარმოებს ელექტრონულ გამოკითხვებს, რომელთა შინაარსიც დეტალურად ეხმიანება სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს. ასევე სკოლის ფოიეში მოსწავლეეთა თვითმართველობას განთავსებული აქვს „სურვილების ყუთი“, სადაც სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს თავისუფლად შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი იდეები თუ მოსაზრებები.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთათვის დიდ გამოწვევად რჩება კვების არ ქონა სკოლის ტერიტორიაზე. ვინაიდან აღნიშნული სკოლა მცირეკონტიგენტიანია ვერ ხდება გარე პირთა დაინტერესება იჯარით კვების ობიექტის გახსნისთვის.

ამ ყოველივედან დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში და შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

- სასურველია სკოლის დირექციამ ადგილობრივ მუნიციპალიტეტის ჩართულობით, უზრუნველყოს მოსწავლეთა სასკოლო პერიოდში თუნდაც ფასიანი კვების მომსახურეობა.
- ვინაიდან სკოლას აქვს სათანადო კომპიუტერული ლაბორატორია, სასურველია მოსწავლეებს, თუნდაც online ფორმატით(თუ პირისპირ სწავლებისთვის სათანადო კანდიდატი არ გამოჩნდება) შესთავაზოს რომელიმე ევროპულ თუ აზიურ ენას შესწავლა მეორე უცხოური ენის ფარგლებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ გასაუბრება მოსწავლეებთან/მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან;
- ✓ შემუშავებული კითხვარები;
- ✓ სადამრიგებლო პროგრამები;
- ✓ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესის;
- ✓ პროექტული სწავლების ამსახველი გეგმები/ფოტო-მასალა;
- ✓ ღონისძიებების ამსახვეი ფოტო-მასალა;
- ✓ „სურვილების ყუთი“ ამსახველი ფოტო-მასალა;
- ✓ რემედიაცის წესი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

როგორც საბაზო-საშუალო საფეხურის კლასების დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლა მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების და უნარების განვითარებაში. დამრიგებლები აქტუალური თემის ფარგლებში მოსწავლეებს უტარებენ საუბრებს პროფესიული უნარების განვითარების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც შედგა შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რომელთაგან ერთ-ერთი ამავე სკოლის კურსდამთავრებულნი იყო. აგრეთვე დაგეგმილია მოსწავლეთა ვიზიტები სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, საბაზო და საშუალო საფეხურის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. ამ მიზნით დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს, იღებენ მათგან ინფორმაციას, თუ ვის რა პროფესიული განათლების მიღება ან სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელება სურს. დამრიგებლები უზრუნველყოფენ აღნიშნული ინფორმაციის დირექციისათვის მიწოდებას, რომლის საფუძველზეც დირექცია უზრუნველყოფს უნივრსიტეტებთან ან/და კოლეჯებთან შეხვედრების ორგანიზებას, ადგილზე ვიზიტსა და გარემოს დათვალიერებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა პერიოდულობით იყენებს კითხვარებს, მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა აზრის გასაგებად მათმიერ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობაზე, შედეგების გაანალიზების შემდეგ კი სასკოლო საზოგადოების აზრი გათვალისწინებული და ასახულია სკოლის ცხოვრებაში. შესაბამისად,

ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- კითხვარები;
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში ვხედავთ რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პედაგოგიურ მხარდაჭერას, ინდივიდუალურ მიდგომებს, მშობლისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და ინკლუზიური განათლების თანამედროვე პრინციპების დაცვას. მაგალითად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აღმწერი პროცესები, ალტერნატიული მეთოდები და მხარდაჭერა, შეფასების სისტემა, ფიზიკური გარემოს ადაპტირების გაუმჯობესების მექანიზმები, ასევე სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები, კითხვარები იძლევა შეფასების საშუალებას, რომ სკოლას აქვს ჩამოყალიბებული მექანიზმი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისთვის, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მრავალპროფილური სამუშაო ჯგუფის შექმნას, პროცესის მონიტორინგს, მშობლებისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და სისტემურ კომუნიკაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ექსპერტებმა დავათვალიერეთ სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გავესაუბრეთ სპეც. პედაგოგებს და დეტალურად გავეცანით მათ საქმიანობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მუდმივად ხორციელდება სსსმ

მოსწავლეების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. სპეც. მასწავლებლებთან გასაუბრებით, არსებული რესურსების დათვალიერებით და პორტფოლიოების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სსსმ მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასკოლო ღონისძიებებში. შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- სსსმ მოსწავლეთა პორტფოლიოები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ სატრანსპორტო მომსახურებას ნორმების სრულად დაცვით, შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული სანტრანსპორტო მომსახურეობა ხორციელდება ნებაყოფლობითდა ემსახურება მოსწავლეთა კეთილდღეობას, შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დამატებითი მომსახურეობა ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ტრანსპორტით მომსახურეობის ხელშეკრულება.

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითის საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპი ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2/06 2026 წლის 15 იანვირით დათარიღებული) გვეუბნება, რომ სკოლის პედაგოგები კურიკულუმის შემუშავებას იწყებს გასული სასწავლო წლის მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, კურიკულუმი იგეგემება ყველა კათედრის თითოეულ წევრის ჩართულობით. პედაგოგები კათედრებზე განიხილავენ და არჩევენ თუ რა საგნობრივ საკითხები შესთავაზონ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული საგნის სტანდარტის მიზნების მისაღწევად.
სკოლის კურიკულუმის შემშავების მეთოდოლოგია კი გვეუნბენა, რომ .კურიკულუმის ფუნქციაა ერთის მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები. მეორეს მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, სწორედ ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარის ფორმები, რომლთა საშუალებითაც მოახდინეს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებთა აზრის გამოკითხვა, სასკოლო საჭიროების დადგენა და მათი სათანადოდ ასახვა სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე კკურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია გვეუბნება, რომ სკოლის პედაგოგიური საზოგადოება კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებას მიიჩენევნ, კომპლექსურ პროცესს, რომელშიც მთლიანად სასკოლო საზოგადოებაა ჩართული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია „სურვილების ყუთი“, სადაც მოსწავლეებს, მშობლებს,სასკოლო საზოგადოების ნებისმერ წარმომადგენელს, შეუძლიათ ანონიმურად ჩაყარონ მოსაზრებები სკოლაზე, სასკოლო ცხოვრებაზე, სწავლა-სწავლების ხარისხზე. ამ ყუთიდან მიღებულ ინფორმაციას კი წლის ბოლოს აანალიზებნ და ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში. ასევე სკოლას ჩატარებული აქვს ანონიმური გამოკითხვა სასკოლო ცხოვრების თემატიკაზე, რომელთა მონაცემების გაანალიზების შედეგიც აისახა მიმდინარე წლის სასწავლო გეგმაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლას განხორციელებული აქვს სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის SWOT- ანალიზი, რომლითაც განსაზღვრეს და ჩამოაყალიბეს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა საგნის ინტეგრირებული თუ საგანსპეციფიკური პროექტები რომლებიც ეხმიანება სოციუმისა და თანამედროეობის გამოწვევებს. კონკრეტულად, თანასკოლელის ტრაგიკულმა სიკვდილმა ავტო შემთხვევისას, ბავშვებს შთააგონა მოეწყოთ იმიტირებული სასამართლოპროცესი და განეხილათ ეს კონკრეტული ქეისი. შემდეგ კი შექმნეს

უსაფრთხოდ მოძრაობის ბუკლეტი და გაავრცელეს სასკოლო საზოგადოებაში.ასევე, როგორ მოსწავლეთა ინტერვიუდან შევიტყვეთ არჩევნების წინარე პერიოდში მაღალი იყო რა მოსწავლეთა ინტერესი არჩევნებისადმი, მათი ინციტივით სამოქალაქო განათლების პედაგოგმა განახორციელა პროექტი „თვითმართველობა". ასეევე, მოსწავლეებში საკუთარი სოფილსი ისტორიისა და კულტურის უკეთ გაცნობის მიზნით განხორციელდა პროექტი ხელოვნებაში სახელად„ რას გვიამბობებენ მთსიძირის არქოლოგიური გათხრები". მოსწავლეებმა ასევე გვითხრეს; გარდა იმისა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დირექტორი აწყობს გაერთიანებულ შეხვედრას სასკოლო საზოგადოებასთან და აცნობს ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ სასწავლო პროგრამას,მოსაწავლეებთან თითოეული საგნის პედაგოგი კიდევ განიხლავს პროექტთა ჩამონათვალს და ბავშვები თავად ირჩევენ მათთვის სასურველებს.

მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლაში ფუნქციონირებს ფრენბურთის წრე, ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა შეჯიბრებებში, ზოგსაც კი თავად აორგანიზებენ. სწორედ ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე მოეწყო სპორტის გარდაცვლილი მასწავლებლის სახელობის ფეხბურთის ტურნე, რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ითვალისწინებს სკოლა მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შექმნა მოხდა სასწავლო წ;ის დასაწყისში, კათედრის წევრები დასხდნენ ერთობლივად , გაანალიზეს გასული წლის შემაჯამებელი დავალებები, პროექტებზემუშაობისას მიღებული/ჩანიშნული ინფორმაცია, კათედრის სხდომების ოქმები, მოსწავლეთა პირადი საქმეები/მოსწავლეთ პორტფოლიოები, მოსწავლეთა გასული სასწავლო წლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებები /დახასიათებები, წინა კლასის საგნის მასწავლებელებისგან მიღებული ინფორმაცია და სკოლის ძლიერი მხარეების, შესაძლებლობების და გამოწვევების გათვალისწინებით დაიგეგმა ახალი სასწავლო წლის წლიურ პროგრამა. რათა სწავლა-სწავლების პროცესი გამხადრიყო უფრო მიზანზე ორიენტირებული და შესაბამისად სკოლის მისიითა და ხედვით გათვალისწინებული დათქმები კი შესრულებადი.ამ ყოველივეს გათვალისწინებით,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასწავლო წლის დასაწყისში გამართულ მშობელთა კრებებზე დამრიგებლები სხვა საორგანიზაციო საკითხებთან ერთად განიხილავენ/აცნობენ ახალი სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას. ასევე დირექტორი ყოველი სასწავლო წლის პირველ დღეებში ხვდება სასკოლო საზოგადოებას გაერთიანებულ კრებაზე, სადაც განიხილავს სკოლის საჭიროებებს, რეგულაციებს და წლიურ სასკოლო პროგრამის ძირითადი საკითხებს,პროექტებს და ღონისძიებებს.შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ბრძანება .2.06 კურიკულუმის მეთოდოლოგია
- კათედრების შეხვედრების ოქმები/ანგარიშები (ჰუმანიტარულმეცნიერებათა კათედრის N 1 ოქმი)-;
- მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა კითხვარების ფორმები;
- კითხვარებით მიღებული მონაცემების ანალიზთა ფორმები;
- SWOT-ანალიზის ამსახველი დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- მშობელთა კრების ოქმი/ოქმები (ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის მე-2 კლასის მშობელთა კრების ოქმი17 სექტემბერი 2025წელი;
- მშობელტა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერვიუები;
- პროექტული დავალების ფოტო-მასალა.

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის 2025–2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესავალში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სკოლა ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც: საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, მისი ინდივიდუალური განვითარების დინამიკა და მიღწეული შედეგები; სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის მზაობა, ასაკობრივი ინტერესები, ასევე მისი ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები; შედეგზე ორიენტირება გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის დამახსოვრებას, არამედ მის გარდაქმნას მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად — მოსწავლის აღჭურვას ქმედითი ცოდნით, რომელიც პრაქტიკაში გამოიყენება. ამ პრინციპების რეალიზებას ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. მათი შესრულება მოსწავლეს აქცევს სწავლა-სწავლების პროცესის აქტიურ მონაწილედ, ზრდის მის ცნობისმოყვარეობას და აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს ვარაუდები და მოსაზრებები. შედეგად, აღნიშნული კურიკულუმები ქმნის მყარ საფუძველს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ეფექტიანი განვითარებისათვის. **რჩევა** საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა გამოვლინდა რიგი ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც საჭიროებს გასწორებას: ● დაწყებით საფეხურზე I კლასის ბუნების საგნის კურიკულუმი საჭიროებს რესურსებით დამატებით დატვირთვას. III-IV კლასების კურიკულუმებში დასაზუსტებელია თემები. ● საბაზო საფეხურზე VII კლასის ფიზიკის საგანში თემის ველში ზედმეტად არის მითითებული „საუბარი ფიზიკის შესახებ“ — რეკომენდებულია ამოღება. VIII-X კლასებში კი თემები

	საჭიროებს დაზუსტებას. VII კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში გასათვალისწინებელია ყველა თემის სრულად ასახვა. VIII, IX და X კლასების ქიმიის საგნობრივ კურიკულუმებში დასაზუსტებელია სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის შესაბამისად ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით ვიგებთ რომ კათედრაზე პედაგოგები კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასაგეგმად. ერთმანეთს უზიარებენ წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, იციან კრიტერიუმები თუ რა უნდა გაითვალისწინონ ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აკვირდებიან სასწავლო პროცესზე, წერენ დაკვირვების შემდგომ უკუკავშირს, ახდენენ განხორციელებული აქტივობების და პროექტების რეფლექსიას, ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს, აკადემიურ საჭიროებებს. გა საუბრების დროს პედაგოგებმა გამიზიარეს შემოქმედებით დავალებებსა და პროექტებზე მუშაობის პროცესი. რაც ნამდვილად არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განხორციელების საშუალება. მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვთ კონსტრუქტივიზმის პრინციპით სასწავლო პროცესის დაგეგმვის რუბრიკები, სადაც ნათლად ჩანს თუ როგორ ხდება ცოდნის აგება, ფუნქციური უნარების განვითარება. მასწავლებლები გეგმავენ პროექტებს სხვადასხვა საფეხურზე. მაგ. საშუალო საფეხურზე: „ვიცოდეთ მეტი ადგილობრივ თვითმმართველობაზე“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი ჩვენი არჩევანია“ და სხვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების კურიკულუმი სამივე საფეხურზე შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. გეგმა ეფუძნება საგნობრივ კომპეტენციებს. **რჩევა:** კურიკულუმების ჩარჩო რიგ შემთხვევაში განხვავდება კლასების მიხედვით. სასურველია კათედრა შეთანხმდეს ერთ კონკრეტულ ჩარჩოზე და იმუშაოს მასში. აც განავითარებს თანამშრომლობით კულტურას და უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას. ასევე რიგ შემთხვევებში კურიკულუმში გამორჩენილია სამიზნე ცნება, შემოქმედებითი დავალების მაგალითები იუნიტების მიხედვით. გასაუბრებაზე პედაგოგებმა გამოამჟღავნეს უცხოური ენის სტანდარტის ცოდნა და გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი წლიდან მოახდენენ კურიკულუმების რევიზიას. **აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელოვნება/მუსიკის კურიკულუმი სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი,საბაზო,საშუალო) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. გეგმა ეფუძნება საგნობრივ კომპეტენციებს, **რჩევა:** საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. კათედრაზე შემუშავებული და შეთანხმებულ იქნას საერთო კურიკულუმის ჩარჩოს, რაც უზრუნველპყოფს სტრუქტურულ თანმიმდევრულობასა და უკეთეს კოორდინაციას. თემების, საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი წარმოადგინონ ინტეგ რირებულად სხვადასხვა საგანთან მიმართებით. სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითიც შედარებისთვის. დაიგეგმოს პროექტები/აქტივობები სხვა საგნებთან ინტეგრირებით . კომპლექსური დავალებების პირობების გადამუშავება ისე, რომ სწორად იყოს ფორმულირებული და სრულად შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ

	თავისებურებებს. (ხელოვნების კურიკულუმში I, III, V, VII და IX კლასებში). პედაგოგებმა გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ და მომავალი სასწავლო წლიდან და განახორციელებენ კურიკულუმების შესაბამის რევიზიას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შდეგი კი ასახულია სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. წარმოდგენილ კურიკულუმში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა, თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეს უწევს: • ნახატის, აპლიკაციის, პოსტერის, პლაკატის, მოდელის, კომიქსის, კონტური სქემის, საინფორმაციო ბარათის შექმნა; • დაკვირვების დღიურის შევსება; • ცდის ჩატარება; • პროექტზე მუშაობა; • რეფერატის მომზადება; • მონაცემების განსჯა და ანალიზი. მე-8 კლასში განხორციელებული პროექტის („წყალი-სიცოცხლის წყარო“) რეფლექსიაში ქიმიის მასწავლებელი წერს: „წყლის შესახებ პროექტმა მნიშვნელოვანი ცოდნა მისცა მოსწავლეებს როგორც ქიმიის, ისე გარემოს დაცვის მიმართულებით;“ „პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებმა განივითარეს ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პრეზენტაციის უნარები. ისწავლეს გუნდური მუშაობა და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.“ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობა და განხორციელებული და დაგეგმილი სასწავლო პროექტები არსებითი ფაქტორია გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარების. ჯამში, წარმოდგენილი კურიკულუმები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** შემოქმედებით დავალებებზე მუშაობა და განხორციელებული და დაგეგმილი სასწავლო პროექტები არსებითი ფაქტორია გლობალურ -ფუნქციური უნარების განვითარების.

	ჯამში, წარმოდგენილი კურიკულუმები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები საფეხურების მიხედვით შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები: საგნობრივი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, შედეგების ინდიკატორები. საგნების მიხედვით დაკონკრეტებულია სასწავლო თემები და შესასწავლი საკითხები. კურიკულუმის ჩარჩოებში სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებია წარმოდგენილი. კურიკულუმების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს, აკადემიურ საჭიროებებს. სასწავლო პროცესის ესგ-ს შესაბამისად დაგეგმვის დასტურია სასწავლო თემებისა და საკითხების შესაბამისად საგნების მიხედვით მოსწავლეების მიერ შექმნილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალების ნიმუშები. მაგ. გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ჩვენი საქართველოს, პროექტული სწავლების პროექტები. ასევე სკოლაში არსებობს მოქალაქეობის კლუბი“ აქტიური მოქალაქე“. დაგეგმილი პროექტები მიემართება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას და ააქტიურებს სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმები მიერმართება ესგ განსაზღვრულ მიზნებს, სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები,(როგორც გრამატიკული ისე ლექსიკური ერთეულები) საგნების მიხედვით დაკონკრეტებულია სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები, ასევე დამატებითი რესურსები შერჩეულია სამიზნე ცნებების და შუალედური მიზნების მიხედვით.

	შუალედური დავალებების პირობებიც გაწერილია იმგვარად, რომ სასწავლო პროცესი მიემართ ება ესგ-ით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **რჩევა:** რიგ კლასებში სასურველია მოხდეს კურიკულუმების რევიზია და დაკონკრეტდეს, ან შე ირჩეს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებების იდეები, სასურველია კათედრამ ა ითვისოს და აქტიურად გამოიყენოს ტექნოლოგიები უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში, გ ასაუბრებაზე პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი მიზნები დაწყებით, საბაზო და სასუალო საფეხურზე დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნე ბები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრება ს პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენ ებაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლ ო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავე ბისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად.

	რჩევა: (დაწყებითი, საბაზო , საშუალო საფეხურები) სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩ აიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას. კურიკულუმში საკითხი/დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია, კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. ამისათვის, იხელმძღვანელონ სახელმწიფო ენის საგნობრივი გზამკვლევის მეთოდური რეკომენდაციებით.აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები, საკითხები, , რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კურიკულუმი მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერაქრქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვის, უსაფრთხოების დაცვის, სამართლიანი თამაშის წესების დაცვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვითაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდატებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეს უწევს: • ნახატის, აპლიკაციის, პოსტერის, პლაკატის, მოდელის, კომიქსის, კონტური სქემის, საინფორმაციო ბარათის შექმნა; • დაკვირვების დღიურის შევსება;

	• ცდის ჩატარება; • პროექტზე მუშაობა; • რეფერატის მომზადება; • მონაცემების განსჯა და ანალიზი. მე-8 კლასში განხორციელებული პროექტის („წყალი-სიცოცხლის წყარო“) რეფლექსიაში ქიმიისა მასწავლებლი წერს: „წყლის შესახებ პროექტმა მნიშვნელოვანი ცოდნა მისცა მოსწავლეებს როგორც ქიმიის, ისე გარემოს დაცვის მიმართულებით;“ „პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებმა განივითარეს ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პრეზენტაციის უნარები. ისწავლეს გუნდური მუშაობა და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.“ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობა და განხორციელებული და დაგეგმილი სასწავლო პროექტები არსებითი ფაქტორია გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარების. ჯამში, წარმოდგენილი კურიკულუმები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები საფეხურების მიხედვით შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები: საგნობრივი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, შედეგების ინდიკატორები. საგნების მიხედვით დაკონკრეტებულია სასწავლო თემები და შესასწავლი საკითხები. კურიკულუმის ჩარჩოებში სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებია წარმოდგენილი. კურიკულუმების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს, აკადემიურ საჭიროებებს. სასწავლო პროცესის ესგ-ს შესაბამისად დაგეგმვის დასტურია სასწავლო თემებისა და საკითხების შესაბამისად საგნების მიხედვით მოსწავლეების მიერ შექმნილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალების ნიმუშები. მაგ. გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ჩვენი საქართველოს, პროექტული სწავლების პროექტები. ასევე სკოლაში არსებობს მოქალაქეობის კლუბი“ აქტიური მოქალაქე“. დაგეგმილი პროექტები მიემართება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას და ააქტიურებს სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმები მიერმართება ესგ განსაზღვრულ მიზნებს, სამივე საფეხურზე კურიკულუმებ ში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები,(როგორც გრამატიკული ისე ლექსიკური ერ

	თეულები) საგნების მიხედვით დაკონკრეტებულია სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსებ, ასევე დამატებითი რესურსები შერჩეულია სამიზნე ცნებების და შუალედური მიზნების მიხე დვით. შუალედური დავალებების პირობებიც გაწერილია იმგვარად, რომ სასწავლო პროცესი მიემართება ესგ-თი განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **რჩევა:** რიგ კლასებში სასურველია მოხდეს კურიკულუმების რევიზია და დაკონკრეტდეს, ან შ ეირჩეს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებების იდეები, სასურველია კათედრა მ აითვისოს და აქტიურად გამოიყენოს ტექნოლოგიები უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცეს ში, გასაუბრებაზე პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. **აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი მიზნები დაწყებით, საბაზო და სასუალო საფეხურზე დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლ ო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრე ბას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამ ოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სა სწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შ ემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო , საშუალო საფეხურები) სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას. კურიკულუმში საკითხი/დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია, კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. ამისათვის, იხელმძღვანელონ სახელმწიფო ენის საგნობრივი გზამკვლევის მეთოდური რეკომენდაციებით.

	აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კურიკულუმი მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვითაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდატებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის ხედვაში ვკითხულობთ: „მოსწავლეთა თანაბარი ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე.“ ბუნების, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნობრივ კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ამის დასტურია: მე-8 კლასში ბიოლოგიის საგანში განხორციელებული სასწავლო პროექტის („ემულგატორები და ჯანსაღი კვება“) რეფლექსიაში მასწავლებლის ამბობს - „პროექტის დაგეგმვისას გავითვალისწინე მოსწავლეთა ინტერესი და ასაკი, მათთან ერთად შევიმუშავე პროექტის გეგმა.“ გარდა ამისა, გარდა ამისა, მასწავლებლის თვით რეფლექსიის, კოლეგისა და სკოლის დირექტორის უკუკავშირის ფორმები ითვალისწინებს მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომის შეფასებას. შემოქმედებითი დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავად აირჩიონ შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც ხელს უწყობს მათი უნარებისა და ინტერესების გამოვლენას. საბუნებისმეტყველო საგნებში მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამა, რაც დამატებით უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს დიფერენცირებული სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: რემედიაციის დოკუმენტი, ინდგეგმები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა გაგვიზიარეს დიფერენცირებული სწავლების განხორციელების პროცესი. შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვის პროცესში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტის არჩევის და დავალების სხვადასხვა ფორმატით წარდგენის საშუალება. ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და რთავენ მათ კლუბებსა და პროექტებში. მტკიცებულად წარმოდგენილია საბაზო საფეხურზე, ისტორიაში, მოქალაქეობასა და გეოგრაფიაში სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის შედენილი ინდგეგმები. სადაც ნათლად ჩანს მოსწავლის აქტუალური დონე, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. დაგეგმილი აქტივობები მიზნის შესაბამისია, თუმცა წარმოდგენილ ინდგეგმებში სემესტრის დროს განსახორციელებელი აქტივობა მცირეა. **რჩევა:** სასურველია გაზარდოთ აქტივობების ჩამონათვალი და მოსწავლეს შესთავაზოთ მრავალფეროვანი რესურსებით დაგეგმილი აქტივობები. რაც გაზრდის

	საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის ჩართულობას და გაგიადვილებთ დასახული მიზნის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესს გეგმავენ და ახორც იელებენ მოსწავლეთა ასაკობრივი, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, მათი მ ზაობის მიხედვით სამივე საფეხურზე კურიკულუმებშიც თემები იმგვარად არის არჩეული, რომ ისისნი თითოეულ საფეხურზე მორ გებულია მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. ასევე კათედრის წევრებმა ისაუბრეს მათ მიერ შეფასების გამოყენებაზე, მათ წარმოადგინეს შე ფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებულია ასაკობრივ თავისებურებებს. **რჩევა:** სასურველია კათედრამ იმუშაოს უფრო აქტიურად ინოვაციური სასწავლო მეთოდების გამოყენების მიმართულებით, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დანერგონ ტექნო ლოგიების გამოყენება, რაც სასწავლო პროცესს უფრო ინკლუზიურს და ყველასთვის მეტად სა ინტერესოს გახდის. ასევე სასურველია კათედრამ იმუშაოდს სასწავლო რესურსების დამოუკ იდებლად შექმნაზე, როგორიც არის ფლეშ ქარდები, პოსტერები და სხვა ვიზუალური მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრას მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება რომ კათედრა სასწავლო პროცესს სწავლების სამივე საფეხურზე უდგება ინკლუზიურად და იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გასაუბრებისას აღწერეს ის მიდგომები რასაც იყენებენ მოსწავლეთა ინკლუზიური მიდგომებისას ასვე გამოიკვეთა რომ ისინი ითვალისწინებენ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს და ინტერესებს. ინკლუზიური მიდგომა და დიფერიენცირება ჩანს შემოქმედებითის დავალებების შესრულებისას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათთვის ეფექტური გზებით ც ოდნის დაუფლებას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, ისგ, რესურსები,რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას

	აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება,საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას.სასწავლო მასალის წარდგენისას იყენებენ ვიზუალურ, პრაქტიკულ და თეორიულ მასალას,რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის სტილის, მოდალობების, გათვალისწინებასა და ეფექტურ ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას უწყობს ხელს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **რჩევა:** სასურველია საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის დროს მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში აისახოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის (მუხლი.2 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, პუნქტი 7) თანახმად, მისიის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების სისტემის უწყვეტ განვითარებას. შეფასების პროცესი ეფუძნება მოსწავლის აკადემიური მიღწევების სისტემურ ანალიზს, გამოვლენილი ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებასა და მათ აღმოფხვრას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები აქტიურად იყენებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. სადაც დაზუსტებულია მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები, პროცედურები. პედაგოგებს საზოგადოებრივი მეცნიერებებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა საგანში შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მაგ. დაწყებით საფეხურზე, ჩვენი საქართველოში წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც მკაფიოდ არის გამოკვეთილი საგნის სამიზნე ცნებები, შედეგების ინდიკატორები და მკვიდრი წარმოდგენები. დაკონკრეტებულია თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეს მასწავლებელს კონკრეტული საკითხის შესწავლის დროს. მასწავლებლები აფასებენ როგორც შემოქმედებით დავალებებს, ასევე სწავლის პროცესის დროს განხორციელებული აქტივობების დროს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით დგინდება რომ შეფასების სისტემა არის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრა იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას საბაზო და საშუალო საფეხურზე და განმავითარებ ელ შეფასებას დაწყებით საფეხურზე. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ განმავით

	არებელი კომენტარს ძირითადად იყენებენ სიტყვიერ უკუკავშირს, კომენტარს. მათ ახსნეს, რო მ შეფასება მოსწავლეს ეხმარება შუალედური და საფეხურის მიზნების მიღწევაში, არსებული ხ არვეზების აღმოჩენაში და შემდეგ მათ აღმოფხვრაში. შეფასების დროს ისინი ეყრდნობიან მოსწავლეთა შედეგებს და აქტიურად ავითარებენ მათ. კათედრის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა სრულად შესაბამისობაშია ეროვნული სასწ ავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ესთეტიკური საგნების სწავლებისას ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღ ვრულ პრინციპებს, სწავლების პროცესში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმა: მასწავლებლის უკუკავშირი, ნამუშევრების ანალიზი..ესსე, პრეზენტაცია , თვითშეფასე ბა, და ა.შ . ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგზე, არამედ შემოქმედე ბით პროცესში ჩართულობაზე, შემუშავებული აქვთ შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა დავალების შეფასების რუბრიკები,როგორც ზოგადი, ისე ცნებებთან მიმართებით. კათედრა აგრძელებს ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკების შექმნას სახვადასხვა აქტივობისთვის.ეს ყველაფერი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **რჩევ**ა:(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	ატვირთულ დოკუმენტაციაში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილია რამდენიმე კლასის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელშიც გაწერილია კონკრეტული კომპლექსური დავალების პირობა და ეფუძლება ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ესგ-ის შესაბამისად. მისი კომპონენტები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზ ღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გა თვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უ წყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ✓ კურიკულუმის მეთოდოლოგია;

- ✓ კურიკულუმის შეფასების ანგარიში;
- ✓ კათედრის დებულება;
- ✓ საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი;
- ✓ დაწყებითი კათედრის ოქმი 2025-26 წლის დაწყებამდე;
- ✓ დაწყებითი კათედრის ოქმი პირველი სემესტრის ბოლოს
- ✓ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები I-XII კლასების;
- ✓ შემაჯამებელი დავალების ნიმუში;
- ✓ შემაჯამებლი დავალების ანალიზი;
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ სასწავლო პროექტები;
- ✓ ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ✓ კურიკულუმის რევიზიის შედეგები ქიმიისა და ფიზიკის საგნებში;
- ✓ რესურსების ჩამონათვალი საბუნებისმეტყველო საგნების;
- ✓ მასწავლებლის თვითრეფლექსიის, კოლეგისა და სკოლის დირექტორის უკუკავშირის შევსებული ფორმები.
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები მათემატიკაში....I-XII .კლასი;
- ✓ 11 კლასის თემის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ✓ აქტივობა მე-5 კლასი;
- ✓ შეფასების რუბრიკა მე-8 კლასი;
- ✓ თემის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ✓ მე-6 კლასის თემის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ✓ მე-11 კლასი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები ხელოვნებაში I-XI კლასი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები მუსიკაში IXკლასი;
- ✓ განმსაზრვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები მუსიკასა და ხელოვნებაში დაწყებით, საბაზო და საშუალო ს აფეხურზე; განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზი მუსიკასა და ხელოვნებაში;
- ✓ გაკვეთილის გეგმა მეექვსე კლასში მუსიკაში;
- ✓ მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასება;

- ✓ ესთეტიკის კათედრის ოქმები;
- ✓ კათედრის სამოქმედო გეგმა;
- ✓ შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ✓ ოსწავლეთა ნამუშევრები
- ✓ ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი (I-VI კლასები);
- ✓ ტექნოლოგიების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ კათედრის ოქმი N 1- კურიკულუმის შემუშავება. (03.09.2025);
- ✓ პედსაბჭოს ოქმი N 7- სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება (05.09.2025);
- ✓ მშობელთა კრების ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შესახებ.;

- ✓ საგნობრივი კურიკულუმები რუსულ და ინგლისურ ენებში;
- ✓ შემაჯამებელი დავალების;
- ✓ ანალიზის ნიმუშები;
- ✓ შემომქედებითი დავალებების ამსახველი ფოტო-მასალა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის თანახმად, მისიით დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) არამარტო შეფასებას, არამედ შეფასების გაუმჯობესების წესებისა და პროცედურების შემუშავება - დანერგვას. დოკუმენტაციაში სკოლამ ასახა: • საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიშის ფორმა; • ფიზიკის საგანში მე-7 კლასის კურიკულუმების რევიზიის ანგარიში; • ქიმიის საგნებში მე-8 და მე -11 კლასების კურიკულუმების რევიზიის ანგარიში. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	ყველა საფეხურზე კლასების და საგნების მიხედვით წარმოდგენილ კურიკულუმებში დაკონკრეტებულია სასწავლო თემები, საკითხები, ცნებები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, დამხმარე სასწავლო რესურსები. მოსწავლეებისათვის მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები აქვთ შეთავაზებული. მასწავლებლებთან გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის დროს იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი, კვლევითი უნარების განვითარებას. საინტერესოა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლების თანამშრომლობის პრაქტიკა მეზობელი სკოლის პედაგოგებთან, ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ მოსწავლეთა კონფერენციებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია პროექტი : 26 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. მე-11 კლასში დაგეგმეს და განხორციელეს პროექტი: „მეწარმეობა, როგორ გავხდე ანტრეპრენერი“, წარმოდგენილია პროექტის გეგმა, პროექტის შეფასების რუბრიკა და განხორციელების შემდგომი რეფლექსია. პროექტები: „ვიცოდეთ მეტი ადგილობრივ თვითმმართველობის შესახებ“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი ჩვენი მომავალია“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესს ახორციელებს კურიკულ უმით განსაზღვრული პრინციპების მიხედვით, ეს უკანასკნელი თავის მხრივ თანხვედრაშ ია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. კათედრაზე გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ სხვადას ხვა პროექტს, ინტეგრირებულ გაკვეთილს და არაფორმალურ (კლასგარეშე) აქტივობას. უ მცა საჭიროა მასგავი ტიპის აქტივობების უფრო ხშირად გამოყენება, რათა სკოლამ უპასუხ ოს თანამედროვე სკოლის მოტხოვნებს და გამოწვევებს. ათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ მომავალში უფრო აქტიურად დაგეგმავენ იმ ტიპის შემ დქმედებით დავალებებს, რომელიც მოსწავლეებს განუვითარებს ოცდამეერთე საუკუნის უ ნარებს, დასაქმების უნარიანობას საშუალო საფეხურზე. **რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, რომ კურიკულუმის დაგეგმვა/ განხოცრიელების გაითვალი სწინონ სწავლა-სწავლებით თანამედროვე მეთოდები. (თამაშები, ქვიზები, როლური თამაშები, დიალოგები, მოსმენის დავალებები, ინტერაქტიუ

	ლი აქტივობები ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენებით, ასევე მათ მიეცათ რეკომენდაცია აქტიურად ითანამშრომლონ სხვა კათედრებთან და დაგეგმონ ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე) დაფუძნებულია სასკოლო კურიკულუმზე. გაკვეთილები იგეგმება თემატური ერთეულებისა და მიზნობრივი სწავლის შედეგების მიხედვით. სწავლების შინაარსი შერჩეულია კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში,მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მიდგომები ამ ეტაპზე სისტემურად არ გამოიყენება, გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ მათ დაგეგმილი აქვთ ინტეგრირებული პროექტები, რომლებსაც სასწავლო წლის ბოლომდე განახორციელებს. პროცესი ეფექტიანად ეხმიანება კურიკულუმით დადგენილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სწავლების მიზნობრივობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია-სახელმწიფო ენის კურიკულუმები, მოსწავლეთა ნამუშევრები და ინტერვიუ პედაგოგებთან ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესი დინამიკურია და ორიენტირებულია განვითარებაზე. კათედრა აკვირდება და აანალიზებს კურიკულუმის განხორციელების პროცესს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში და არგებენ მას მოსწავლეთა საჭიროებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან ინტერვიუს თანახმად გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება

	და სტანდარტის შედეგები. შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებაც ამ მიზანს ემსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო ურიკულუმის შესაბამისად. კთედრა გეგმავს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუ მის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბა მისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

როგორც სკოლის ინვენტარის შესწავლითა და ინტერვიუიებით გაირკვა, საჭიროების შემთხვევაში სკოლა ახერხებს ხანგრძლივი ვადით სკოლაში ფიზიკურად ვერ გამოცხადების შემთხვევაში , სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებთან ონლაინ გაკვეთილების ჩატარებას. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის ტრანზიციის დოკუმენტი ითვალისწინებს მოქნილ რეაგირებას სხვადასხვა სიტუაციაზე: მაგალითად, ტრანზიციის პერიოდებს (საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, ახალი მოსწა ვლის ინტეგრაცია), სადაც დამრიგებლისა და მასწავლებლის როლია გამოკვეთილი, რათა მოსწავლეებმა მარტივად და სტრესის გარეშე გადალახონ ცვლილებები. სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიდგომების, მრავალფეროვანი მხარდაჭერისა და დროული რეაგირების მექანიზმებს. აღწერილია ახალად გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები (ინფორმაციის მიწოდება, კლასში ინტეგრაცია, წარდგენა თანაკლასელებს, კომუნიკაცია მშობლებთან). ასევე გათვალისწინებულ ია უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლის დასახმარებელი წესები; სკოლის ხედვით კლასის დამრიგებელს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსწავლის ემოციურ და სოციალურ ადაპტაციაში. ადაპტაციის მექანიზმებში დეტალურადაა გაწერ ილ, გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის საჭიროება (ახალი მოსწავლე, უცხოეთიდან დაბრუნებული, სსსმ მოსწავლე). ტრანზიციები ყველა საფეხურზე გაძლიერბულია (ბაღი-სკოლა უნივერსიტეტი /პროფესიული). რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლესთან უზრუნველყოფს ცვლილებებზე დროულ რეაგ ირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლების ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სქემები და კრიტერიუმები, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას. დიაგნოსტიკური ტესტები, გაკვეთილზე დაკვირვება და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შეფასების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდას. მიღებული შედეგების ანალიზი და შესაბამისი უკუკავშირი შეფასების პროცესს უფრო ობიექტურს, სამართლიანსა და გამჭვირვალეს ხდის. ასევე მნიშვნელოვანია კათედრის ფუნქციები, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრის დონეზე, რაც უზრუნველყოფს ერთიანი სტანდარტების დაცვას და შეფასების სისტემის თანამიმდევრულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. სადაც დაზუსტებულია მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები, პროცედურები. პედაგოგებს საზოგადოებრივი მეცნიერებებში სამივე საფეხურზე საგნების მიხედვით წარმოდგენილი აქვთ შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გასაუბრების დროს გამიზიარეს გამოცდილება თუ როგორ ახდენენ მოსწავლეების შეფასებას სხვადასხვა აქტივობების და შემოქმედებითი დავალებების შექმნის პროცესში, დეტალურად აღწერეს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობის მნიშვნელობა და ასევე მოსწავლეებმა წინასწარ იციან თუ რა კრიტერიუმებით ფასდებიან. წარმოდგენილია პროექტული სწავლების შეფასების რუბრიკა, მოსწავლის შემოქმედებითი დავალება და მასწავლებლის განმავითარებელი შეფასება. **რჩევა:** საბაზო საფეხურზე ,ისტორიაში წარმოდგენილ შემაჯამებელი დავალების ნაშრომში მხოლოდ დახურული ტიპის სავარჯიშოებია გამოყენებული. ამ ტიპის დავალება მოსწავლეებში მხოლოდ დეკლარატიულ ცოდნას ააქტიურებს, **სასურველია** იყოს ისეთი სავარჯიშოები, სადაც იქნება ფაქტებისა და მოვლენების

	შედარება, შეფასება, გაანალიზებაა. ასევე სასურველია დავალებას დართული ქონდეს შეფასების კრიტერიუმები და საგნის სამიზნე ცნებები და ინდიკატორები, რაც გაგიადვილებთ საგნის მიზნებთან მიმართებით უფრო ზუსტი ანალიზის გაკეთებას და მოსწავლის შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების კათედრა სამივე საფეხურზე იყენებს შეფასების შესაბამის მეთოდებს(განმავითარებელი შეფასება დაწყებით საფეხურზე და განმსაზღვრელ-განმავიტარებელი საბაზო და საშუალო საფეხურზე) კათედრამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალების ნიმუში და ანალიზი, ასევე გასაუბრების დროს მასწავლებლემა ვრცლად ისაუბრეს შეფასების მეთოდებზე, რომელსაც სკოლა იყენებს მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საიდანაც იკვეთება, რომ შეფასება არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. უცხო ენაში სხვადასხვა მიმართულებით (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა სკოლაში ემყარება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები, და შეფასებული კომპლექსური დავალებები. შეფასების სქემები ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგების მიხედვით არის გაწერილი და არის როგორც ზოგად ხასიათის ასევე შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავებულია სამიზნე ცნებასთან მიმართებაში; განმავითარებელ შეფასებაში, აისახულია რეკომენდაციები და მოიცავს კომპონენტებს: დაზუსტება; წახალისება, რჩევა, აღწერა,ახსნა, შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები - ტესტები, პროექტები, ურთიერთშეფასება ,თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ო

	ბიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებ, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **რჩევა:** (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტი რებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კურიკულუმში არსებული შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მიხედვით, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლე ბში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლ იანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შე ფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი(ბრძანება N 2/17 დამტკიცებული),რომელიც დეტალურად აღწერს პროექტს, რის მიხედვითაც სკოლა ახდენს/მოახდენს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას სწავლის დაწყებიდან მაქსიმუმ 6 თვეში ერთხელ წინასწარ განსაზღვრული/დამტკიცებული ჯგუფის მეშვეობით, ხოლო ვერიფიკაციის პროცესი კი მოიცავს შედეგ ეტაპებს :

- ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა;
- სამუშაო გეგმის შექმნა;
- რისკების განსაზღვრა;
- ვერიფიკაციის განხორციელება;
- შედეგების ანალიზი;
- უკუკავშირი/დაგეგმვა.

ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შეფასების ვერიფიაკციის მიზნით კათედრის შიგნით მასწავლებლები ეცნობიან ერთმანეთის მიერ შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადოდ არის აღრიცხული და ინახება როგორც მოსწავლეთა პირად საქმეებში, ასევე ელექტრონულ ჟურნალში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის შეფასების ანგარიში;
- საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები I-XII კლასების;

✓ კურიკულუმის რევიზიის შედეგები ქიმიისა და ფიზიკის საგნებში;
✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
✓ შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუში;
✓ შემაჯამებელი სამუშაოს ანლიზი;
✓ ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი (I-VI კლასები);
✓ ტექნოლოგიების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
✓ კათედრის ოქმი N 1- კურიკულუმის შემუშავება. (03.09.2025) ;
✓ პედსაბჭოს ოქმი N 7- სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება.(05.09.2025);
✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
✓ ბრძანება№2/17 შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (20.01.2026 წ.).
✓ საგნობრივი კურიკულუმები რუსულ და ინგლისურ ენებში;
✓ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
✓ შემაჯამებელი დავალების;
✓ ანალიზის ნიმუშები;
✓ შემომქედებითი დავალებების ამსახველი ფოტოები.

✓ **მათემატიკა:**

✓ საგნობრივი კურიკულუმები მათემატიკაში....I-XII .კლასი;
✓ 11 კლასის თემის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
✓ აქტივობა მე-5 კლასი;
✓ შეფასების რუბრიკა მე-8 კლასი;
✓ თემის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;

- ✓ მე-6 კლასის თემის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ✓ მე-11 კლასი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;

- ✓ საგნობრივი კურიკულუმები ხელოვნებაში I-XI კლასი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები მუსიკაში I-Xკლასი;
- ✓ განმსაზრვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები მუსიკასა და ხელოვნებაში დაწყებით, საბაზო და საშუალო ს აფეხურზე;
- ✓ განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზი მუსიკასა და ხელოვნებაში;
- ✓ გაკვეთილის გეგმა მეექვსე კლასში მუსიკაში;
- მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასება;
- ესთეტიკის კათედრის ოქმები;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმსა და საგნობრივ დოკუმენტაციაში საბუნებისმეტყველო საგნებისთვის განსაზღვრული რესურსები მოიცავს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო მასალებს. აღნიშნულ რესურსებს შორისაა სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, ონლაინ რესურსები, სქემები, მოდელები და სხვა დამხმარე საშუალებები. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი რესურსების ჩამონათვალის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საბუნებისმეტყველო მიმართულებით გააჩნია როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მიერ შექმნილი ილუსტრაციები და სხვა სასწავლო მასალები. აღნიშნული რესურსები ამდიდრებს და ამარტივებს სასწავლო

	პროცესს, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ახალი მასალის უკეთ გააზრებას. მათი გამოყენების ძირითადი მიზანია ცოდნის შეძენა, გაღრმავება და მისი ეფექტიანი გამოყენება პრაქტიკაში. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების სისტემური და მიზნობრივი გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ კათედრაზე დამტკიცებულ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, ასევე წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი. კურიკულუმებში თემების და საკითხების შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებია. დოკუმენტური ფილმები, ტვ სკოლის გაკვეთილები, სამართლებრივი დოკუმენტები, https://nationalgeographic.ge/story/dno bis-sadarajoze შემოქმედებითი დავალების შექმნის ჰიპერლინკები, ვიდეო-რგოლები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, კვლევები, ინტერნეტ გაზეთები, რუკები. საკითხების შესაბამისი რესურსებით ხორციელდება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და შესაძლებელია ამ რესურსების დახმარებით სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხო ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს სავალდებულო სასწავ ლო რესურსები, განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები. გარდა ამისა კურიკულუმში გაწერილია დამხამრე რესურსები, ელექტრონული თუ მატ ერიალური სახით. წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების ბ ანკი. კათედრის წევრებმა დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოადგინეს კათედ რის მიერ ჩატარებული აქტივობების ამსახველი ვიზუალური მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას დაწყებით და საბაზო საფეხურზე იყენებ ენ როგორც გრიფირებულ ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ვიზუალურა დ და პრაქტიკულად გამდიდრებას. გასაუბრებისას გამოიკვეთ, რომ, მუსიკის სწავლები

	სას პროცესში სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებას იყენებენ თუმცა კურიკულუ მში არ არის მითითბული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მ რავალფეროვანი რესურსები (სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული რესურსე ბი), რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიურობასა და ინ ტერესის ზრდას მოსწავლეთა შორის, ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ცოდ ნის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რეს ურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით. წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყო ფს მოსაწვლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავ ებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	2025–2026 სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებულ საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომაზე მე-4 საკითხად განხილულ იქნა რესურსების შერჩევა (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. კათედრის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოებით სწავლება საკმარისი არ არის და სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება. მისი განმარტებით, სასწავლო პროცესი უნდა იყოს საინტერესო, სახალისო, აქტიური და მრავალფეროვანი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და ეფექტურ სწავლას. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლებს სჭირდებათ ისეთი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს მისცემს მასალის სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობას. ამასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი რესურსების ჩამონათვალის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას საბუნებისმეტყველო მიმართულებით გააჩნია როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილი ილუსტრაციები და სხვა სახის სასწავლო მასალები. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევასა და ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა გამოვლინდა რიგი ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც საჭიროებს გასწორებას: **ბუნება** I კლასი – კურიკულუმი საჭიროებს რესურსებით დამატებით დატვირთვას. III-IV კლასები – თემები არასწორადაა ასახული კურიკულუმში და საჭიროებს კორექტირებას. **<u>ფიზიკა</u>**

	VII კლასი – თემის ველში ზედმეტად არის მითითებული „საუბარი ფიზიკის შესახებ“ — რეკომენდებულია ამოღება. VIII-X კლასები – თემები საჭიროებს დაზუსტებას. **ბიოლოგია** VII კლასი – გასათვალისწინებელია ყველა თემის სრულად ასახვა. **ქიმია** VIII კლასი – მხოლოდ თემაში „წყალი და ხსნარები“ არის სამიზნე ცნებები სწორად ასახული; ხოლო დანარჩენი თემები საჭიროებს შესაბამის შესწორებებს. IX კლასი – ორივე თემაში მოითხოვს სამიზნე ცნებების დაზუსტება. X კლასი – თემაში „ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმები“ აუცილებელია სამიზნე ცნებების დაკონკრეტება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის 2025-2026 წლის N1 ოქმი, რითაც დამტკიცებული აქვთ იმ საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, რასაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. ასევე დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი დამტკიცებულია მთისძირის სასკოლო სასწავლო გეგმით. გასაუბრებით ცნობილი გახდა ,რომ აქტიურად იყენებენ მოსწავლეების მიერ შექმნილ რუკებსა და საინფორმაციო პოსტერებს. ასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და შესაძლებელია ამ რესურსების დახმარებით სასწავლო შედეგების მიღწევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებული დამხმარე რესურსი ვალიდურია, მორგებულია საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა ასაკობრივ და გონებრივ განვითარებას. გასაუბრების ეტაპზე კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ კათედრა წინასწარ და ერთობლივად თანხმდება დამატებითი რესურსების ვალიდურობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ამტკიცებს მას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების აქტიური გამოყენება უზრუნველყოფს ხელოვნება/მუსიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას სამივე საფეხურზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე მათ აღნიშნეს რომ კათედრაზე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არჩევენ დამხმარე რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე დამატებითი რესურსების შერჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით და ამ შერჩეული დამხმარე რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამხმარე სასწავ ლო რესურსის ვალიდაციას ახორციელებს მათემატიკის კათედრა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კათედრის მიერ კურიკულუმის შემუშავების პროცესში შერჩეული ძირი თადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის ელექტრონული რესურსი არის ვალიდური და სანდო. დამხმარე სასწავლო რესურსი გამოყენებამდე გადის ვალიდაცი ას მათი შინაარსობრივი სანდოობის, ასაკობრივ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გ ეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებთან. კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. კათედრის მ იერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახე ლმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაშ ი, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგ ანმანათლებლო რესურსიც. გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული, შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ავტორიზაციის დოკუმენტაციაში სკოლამ წარმოადგინა მატერიალური რესურსების ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მიზნებისა და ამოცანების ნაწილში მითითებულია, რომ მატერიალური რესურსების გამოყენების ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიური საშუალებების ეფექტიანი გამოყენებით სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა. დოკუმენტი ასევე მოიცავს ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის დისციპლინებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების ჩამონათვალს.თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა არსებითად შეუწყობდა ხელს მოსწავლეთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების გაძლიერება - განვითარებას, ასევე ექსპერიმენტული და დაკვირვებაზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებას.ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასებული იყო შეუსაბამოდ,თუმცა სკოლის მიერ გადმოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციის

	წარმოდგენისას,სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა შეფასება,საკითხის გამოსწორება წარმოადგინა შესაბამისობის გეგმაში.შესაბამისად ინდიკატორი გადავიდა მეტწილ დაკმაყოფილებაში. **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით დ გინდება რომ სკოლას აქვს დიფერენცირებული სწავლებისთვის ადაპტირებული გა რემო, მატერიალური ტექნიკური ბაზა, კომპიუტერების ოთახი, პროექტორები და ლეპტოპები ,რითაც უადვილდებათ ელექტრონული რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულიმში წარმოდგენილი, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით და ადგი ლზე მყოფი ექსპერტების მიერ გაზიარებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ს წავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურ სით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის განხილვისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად შეგვი ძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწ ევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად, შეიძ ლება დავასკვნათ, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამი სი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით ვერ უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: არ აქვს სკოლის შენობაში შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზი. ასევე, გარე სივრცეში განთავსებული სპორტული მოედანიც არის დაზიანებული და სპორტული აქტივობებისთვის შეუსაბამო.ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასებული იყო შეუსაბამოდ,თუმცა სკოლის მიერ გადმოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენისას,სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა შეფასება,საკითხის გამოსწორება წარმოადგინა შესაბამისობის გეგმაში.შესაბამისად ინდიკატორი გადავიდა მეტწილ დაკმაყოფილებაში. **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული**
ტექნოლოგიები	სკოლა, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით - კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლას აქვს ოთხი პერსონალური კომპიუტერი, ერთი პროექტორი, ერთი პრინტერი, ერთი ნოუთბუქი. კომპიუტერული ლაბოროტორია გამოიყენება როგორც საგაკვეთილო, ისე სადემონსტრაციო მიზნებისთვის, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების თანაბარ და მიზნობრივ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისათვის. აკმაყოფილებს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწი ნებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგ ინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწ ვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო 23 კვალიფიციური პედაგოგი, რომელთაგანაც ერთი - ხელოვნების პედაგოგი არის მოწვეული სტატუსით დასაქმებული (იგი არ არის სქემაში ჩართული და აქვს მხოლოდ 8 საგაკვეთილო საათი) , თუმცა აღნიშნულ პოზიციაზე , სკოლას ექსპერტთა გუნდის ვიზიტისასაც გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია. სხვა ყველა პედაგოგი კი არის მიმდინარე სქემის ფარგლებში სტატუს მოპოვებული, სკოლაში ასევე არის უფროსის სტატუსის მქონე ერთი სპეც მასწავლებელი , საკმარისი 2 სსსმ მოსწავლისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრების სამოქმედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული დავალებების ამსახველი მასალა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- განათლების მართვის საინფორმაციო ბაზა;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- Teachers.gov.ge-ზე მასწავლებელთა ვაკანსიის ამსახველი დოკუმენტაცია;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი;
- საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები I-XII კლასების;
- მატერიალური რესურსების ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი;
- რესურსების ჩამონათვალი საბუნებისმეტყველო საგნების;
- მასწავლებლის თვითრეფლექსიის, კოლეგისა და სკოლის დირექტორის უკუკავშირის ფორმები;

- საგნობრივი კურიკულუმები მათემატიკაში....I-XII .კლასი.;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- მე-6-ე კლასი შემაჯამებელი მე-2 ანალიზი ;
- შემაჯამებელი სამუშაო 11 კლასი მათემატიკა ;
- შემაჯამებელი სამუშაო N3. ნალიზი მე-8 კლასი ;
- შემაჯამებლის ანალიზი მე-12 კლასი მათემატიკა ;

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საგნობრივი კურიკულუმები: ჩვენი საქართველო V_VI, მე და საზოგადოება III_IV; ოქალაქეობა VII_XII; პროექტული სწავლება მოქალაქეობაში, ისტორიის VII_XII, საქართველოს ისტორია X-XII ;გეოგრაფია VII_XII;
- სამივე საფეხურზე ყველა საგანში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ინდგეგმა მე-4 კლ, მე-7 კლასის ინდგეგმები ისტორია,მოქალაქეობა, გეოგრაფია
- მე-6 კლასი. ჩვენი საქართველო. კონსტრუქტივიზმის პრინციპით გაკვეთილზე დაკვირვების სქემა. (კოლეგის,დირექტორის, პედაგოგის თვითშეფასება).
- მე-5 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. (სხვადასხვა საკითხზე)
- მე-5 კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.
- მე და საზოგადოებაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი
- სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა .
- საზოგადოების მეცნიერებების კათდრის ოქმი N1

- ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიშის ფორმა
- მოქალაქეობა.საკითხი აქტიური მოქალაქეობა. კონსტრუქტივიზმის პრინციპით გაკვეთილზე დაკვირვების სქემა. (კოლეგის,დირექტორის, პედაგოგის თვითშეფასება).
- განმავითარებელეი შეფასება სოლო ტაქსონომიითი.საგანი მოქალაქეობა.
- მოქალაქეობა.მოქალაქეობა. მე-9 კლასი .განმსაზღვრელი შეფასება.
- ინდგეგმა.მე-7 კლასი. მოქალაქეობა, ისტორია,გეოგრაფია.
- მე-10 კლასის გეოგრაფიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- მე-8 კლასის შემაჯამებელი დავალების ნიმუში ისტორიაში. ეფასების ანალიზი
- მე-11 კლასი. გეოგრაფია. კონსტრუქტივიზმის პრინციპით გაკვეთილზე დაკვირვების სქემა. (კოლეგების, დირექტორის, პედაგოგის თვითშეფასება).
- მე-11 კლასი. გეოგრაფია. პროექტი: **„** ტუპუნგატოსა და საქართველოს მყინვარები გლობალური კლიმატცვლილების პირობებში **“ ;**
- X **კლასის** რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- საქართველოს ისტორიის პროექტი.1918 წლის 26 მაისი“საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება”;
- სამოქალაქო განათლების კლუბი “აქტიური მოქალაქე” განხორციელებული პროექტები;
- მე-11 კლასის პროექტი:’’ვიცოდეთ მეტი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”, “მე - 12 კლასის პროექტი “ჯანსაღი ცხოვრება ჩვენი არჩევანია” ;
- მე-11 კლასი “გახდი მეწარმე”. ლუბის აქტივობა “რა,სად,როდის”, პროექტი “26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღე”;
- მოსწავლის შემოქმედებითი დავალებები გეოგრაფიაში, ისტორიაში, ჩვენი საქართველო -მოსწავლის შემოქმედებითი დავაებები “მევენახეობა-მეღვინეობა კახეთში” .

ტექნოლოგიები:

- ბრძანება N 2/10 კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი (15.01.2026წ);
- მიღება -ჩაბარება კომპიუტერის გაცემაზე (10.09.2024წ);

- ბრძანება 2/07 მატერიალური რესურსებით ექსპლუატაციით სარგებლობის წესი(15.01.2026წ);
- ბრძანება№2/ 06 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. (15.01.2026 წ.);
- კათედრის ოქმი N 1- კურიკულუმის შემუშავება (02.09.2025);
- პედსაბჭოს ოქმი N 7- სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება.(05.09.2025);
- მშობელთა კრების ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შესახებ;
- ბრძანება№2/17 შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (20.01.2026 წ.).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპი ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-06-ით დამტკიცებული). რომელიც მოიცავს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განახლების პროცესებს. დოკუმენტი გვეუბნება, რომ კურიკულუმის განვითარება არის მუდმივად განახლებადი პროცესი, რომელიც ეფუძნება წინა წლის შედეგების ანალიზს, მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტში გვხვდება კურიკულუმის განვითარების ძირითად ეტაპები:

- დაგეგმვა და შემუშავება – წინა წლის კურიკულუმის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით;
- დანერგვა – სასკოლო პრაქტიკაში რეალური მოქმედებების განხორციელება და შედეგების აღწერა სამ დონეზე (მოსწავ ლე, მასწავლებელი, სკოლა);
- მონიტორინგი და შეფასება – პროგრესის, სუსტ და ძლიერ მხარეთა იდენტიფიკაცია;
- ადასინჯვა და რევიზია – მიღებული გამოცდილებისა და მონაცემების საფუძველზე ახალი სასწავლო წლის კურიკუ ლუმის განსაზღვრა.

დოკუმენტში ასევე გაწერილია პასუხისმგებელი მხარეები: დირექცია, მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები, ასევე მშობლებ ი და მოსწავლეები, რომლებიც უკუკავშირის სხვადასხვა ფორმით ჩართულნი არიან შეფასებისა და ანალიზის პროცესში.

დებულებით წარმოდგენილი მუხლებით დასტურდება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმ ით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად სასწავლო წლის ბოლოს , ხოლო სემესტრის ბოლოს თითოეული საგნის პედაგოგი წერს აღწერით ანგარიშს თუ რა მიღწევები და გამოწვევევბი ჰქონდა მიმდინარე სასწავლო სემესტრის განმავლობაში, მის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმილ სასწავლო პროგრამას, რა განახორციელეს და რა ვერ მოახსერხეს. დებულება უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და სიმყარეს და გვიჩვენებს მჭიდრო კორელაციას დაგეგმილ სასწავლო პროცესსა და ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს შორის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია გვეუბნება, სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ახდენს კურიკულუმის მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზებას და მიგნებების საფუძველზე ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში პრობლემების გადაჭრის გზების ასახვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

როგორც სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუდან და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ვიგებთ, სასკოლო წლიური კურიკულუმის მონიტორინგი ეხმარებათ მასწავლებლებს მომდევნო სასწავლო წლის პროგრამაში ასახონ იმგვარი აქტივობები, რომლებიც მოერგება თითოეული მოსწავლის საჭიროებას და მიზნობრივად იმუშავებს სწავლა- სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების სემესტრის ბოლო შემაჯამებელი მოხსენება პედაგოგიური საბჭოსთვის;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით ირკვევა, სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს მოსწავლეთა პროგრესისა თუ გამოწვევების შეფასებისა და მონიტორინგისათვის. კონკრეტულად, შემოქმედებით დავალებებს,ინტეგრირებულ პროექტებს (პროექტი მე-9 კლასში მათემატიკისა და ბიოლოგიის ინტგრირება თემაზე

„მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და მოსაწვლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა / დაავადებების რისკები განსაზღვრა“ ; ისტორია-გეოგრაფიის ინტეგრირება „ კავსკასიის რეგიონის განხილვა როგორც ისტორიულისე რეგიონალურ ჭრილში“, მოგზაურაობა ინტერნეტში -საინფორმაციო ბროშურების დამზადება „ ინტერნეტის დდადებითი და ურაყობითი მხარეები“ და გაავრცელეს სასკოლო საზოგადოებაში და სხვა) თითოეული საგნის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამის შემაჯამებელ დავალებებსა და სადიაგნოსტიკო წერებსა, შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

კურიკულუმის შეფასებისას სკოლა უმეტესად ეყრდნობა მასწავლებლის თვითშეფასებას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, მშობელთა და მოსწავლეთა მიერ შევსებულ კითხვარებს, რომელიც აძლევთ ინფორმაციას თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. კათედრებზე, სამუშაო ჯგუფებში, საერთო შეხვედრებზე განიხილება კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეები და გადაჭრის გზები. სკოლაში სისტემატიურად ეწყობა პროფესიული განხილვები მასწავლებლებთა შორის, მშობლებთან. ეს ყოველივე კი, სკოლას ეხმარება კურიკულუმის შეფასების პროცესში მრავალი კონტექსტის გათვალისწინებაში. ამ ყოველივეს გათვალისწინებით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვების მრავალმხრივ მეთოდს როგორებიცაა; საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მასწავლებელთა ურთიერთ დასწრებებისას გაკეთებული მიგნებები, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური ტიპის დავალებების და სხვა.) ანალიზი.

ამასთან, სკოლა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ანხორციელებს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებას. აღნიშნული კვლევები მიზნად ისახავს სასწავლო შედეგების, პროცესების ეფექტიანობისა და არსებული გამოწვევების სიღრმისეულ ანალიზს, რაც, თავის მხრივ, გახდება საფუძველი შემდგომი სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა და გაუმჯობესების ქმედებების დაგეგმვისთვის.

აღწერილი პრაქტიკა კი ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სისტემურად, მრავალმხრივი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს, მათ შორის: დროსა და სივრცეს, სასკოლო საზოგადოების პოტენციალს და სხვა ცვლადებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ საბოლოო შედეგზე. სკოლა ინდივიდუალურ ჭრილში განიხილავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სოციალური ფონი და ოჯახური კონტექსტი. ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების ეტაპზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია სპეციფიკური გამოწვევების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფილია სწავლების მეთოდოლოგიის მაქსიმალურ მოქნილობითა და ინკლუზიურობით . აღნიშნული მრავალმხრივი მიდგომა საშუალებას აძლევს სკოლას, შეიმუშაოს განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის ინტერესებს და მიმართულია სასწავლო პროცესში თითოეული ინდივიდუალის პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ გამოყენებული შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს ყველა რელევანტურ ფაქტორს და უზრუნველყოფს გარემო, რაც გვაკეთებინებს დასკვნას, რომ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ თითოეული საგნის წლიური პროგრამის ამსახველი ჩარჩო/კურიკულუმის ჩარჩო;
- ✓ ი.ს.გ.
- ✓ შეფასების რუბრიკები სხვადსხვა საგნის;
- ✓ შემაჯამებელი დავალების ნიმუშები;
- ✓ სადიაგნოსტიკო წერების ნიმუ/სები;
- ✓ შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების ბარათები და მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ✓ სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ✓ პროექტები;
- ✓ ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია გვეუბნება, სკოლა გასული სასწავლო პროცესის მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს მომდევნო/ახალი სასწავლო წლის პროგრამის შექმნას, თითოეული სემესტრისბოლოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც პედაგოგთა ინტერვიუებმა ცხადყო; მასწავლებლები სისტემატიურად ახდენენ ჩანიშვნებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. ინიშნავენ, თუ რა გამოწვევევბი ახლავს მათ მიერ დაგეგმილ სასწავლო პროგრამას მუშაობის პროცესში. ამის საფუძველზე კი უკვე სემესტრის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს წინაშე ახდენენ მოხსენებით წარდგენას.რაც განიხილება და შესაბამისი ცვლილებები ისახება მომდევნო სასწავლო წლის პროგრამაში.ასევე ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმში გათვალისწინებულია გასული წლის შემაჯამებელი დავალებებისა თუ სადიაგნოსტიკო წერების შედეგად მიღებულ მონაცემები.შესაბამისად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თითოეული საგნის წლიური პროგრამის ამსახველი ჩარჩო/კურიკულუმის ჩარჩო;
- ი.ს.გ.
- შეფასების რუბრიკები სხვადსხვა საგნის;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები;
- სადიაგნოსტიკო წერების ნიმუშები;
- შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების ბარათები და მოსწავლეთა ნამუშევრები;
- სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრები;
- პროექტები;
- მასწავლებელთა ინტერვიუები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 08.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: